

აკავი სიღამელი

ორი პირსა

აკადი ენდაშელი

ორი პირსა

მადლობას მოვახსენებ აღ. ახმეტელის სახელობის  
მუნიციპალური ოფიციალური მმართველს, ბატონ თამაზ გო-  
ლაძეს, რომლის თაოსნობითაც დაიბეჭდა „ორი პიესა“.

© აკაკი ხიდაშელი

ISBN 978-9941-0-5442-6

## **სარჩევი**

|   |
|---|
| პეტი და იგაროვიზაცია თანამედროვე ქართლისა.....5 |
| მედეასა და იასონის თავისუფლება.....57           |



მადლობას მოვახსენებ ბატონ ირაკლი გოცირიძის  
სულს, რომელმაც ამ პიესის პირველი ნაწილი დაბეჭდა  
თავის გაზეობში „იბერია-სპექტრი“ (1996 წ. №172).

მადლობას მოვახსენებ ბატონ როსტომ ჩხეიძეს,  
რომელმაც ეს პიესა სრულად დაბეჭდა თავის უურნალში  
„ომეგა“ (2002 წ. №2-№3).

## პედი და იმპროვიზაცია თანამედროვე ქართლისა

### ნეოტრაგედია

მშობლების, თამარ მესაბლიშვილისა და  
პეტრე ხიდაშელის, სულებს ეძღვნება.

მოქმედი პირნი:

**ჩათისო**

გურალუხეფი იგივე – ქალბატონი ციცო

გიო

**ვალიკო**

დაგვიანებული მაყურებელი იგივე – ჩატონი კაპო

კაპელლისტი

დაბალი, წამრგვალებული კაცი იგივე – ზალიკო

პირველი პრეტედენტი

მეორე პრეტედენტი

პრეტედენტები

პირველი მაყურებელი

მეორე მაყურებელი

მესამე მაყურებელი

ამოგაგელული ქალბატონი და მისი ქალიშვილი

ვახტაგი

მესამე პრეტედენტი

მეორე კაპელლისტი

მეოთხე მაყურებელი

ყვაველი

მესუთე მაყურებელი

მეექვთე მაყურებელი

|              |  |
|--------------|--|
|              | ფარდის გახსნისას სცენაზე სიბნელეა  |
| ქეთინო –     | ვერ ნახე?  |
| გურანდუხტი – | სანთელი ძლივს ვნახე, მაგრამ ახლა ასანთს ვეძებ.   |
| ქეთინო –     | ასანთი მე მაქვს.   |
| გურანდუხტი – | ოჳ, ღმერთო, ასე ჩაუქრე თვალში სინათლე ჩვენს სახლებში სინათლის ჩამქრობს!  |
|              | სანთელს ანთებენ  |
| გურანდუხტი – | მოდი ახლა, ჩქარა მითხარი, ვიდრე შენი ძმა მოსულა.   |
| ქეთინო –     | მოკლედ, არაფერი შეცვლილა. ის ბიჭი მეუბ-ნება – თუ გინდა დღესვე გავაპარებ, მაგრამ მანამდე უნდა დავრწმუნდე, რომ შენ ჩემს ცოლობას არ გადათქვამო.   |
| გურანდუხტი – | შვილო, შენ რომ იმას შენი უმწიკვლობა ჩააბარო და იმან მოგატყუოს?   |
| ქეთინო –     | რაში?  |
| გურანდუხტი – | ცოლად რომ არ წაგიყვანოს?   |
| ქეთინო –     | ოლონდ მამა გააპაროს და იმის ცოლად გაყ-ოლა-არგაყოლას დავეძებ?   |
| გურანდუხტი – | კარზე ბრახუნის ხმა ისმის!  |
|              | გიო! კამათი თუ დაგიწყო, არ აჰყვე, დედა გენაცვალოს!   |
|              | გურანდუხტმა სანთელი აიღო, შემოსასვლელისკენ გაე-მართა და გიოს შემოუძლვა.  |
| გიო –        | დიდი ხანია რაც ჩაქრა?  |
| გურანდუხტი – | არ ვიცი. მე მეძინა.  |
| გიო –        | მაგის დედა ვატირე! საჭმელი არი?  |
| გურანდუხტი – | მზად არის.   |
|              | სინათლე აინთო  |
| გიო –        | აუ, რა გაასწორა! (ქეთინოს დაინახავს და მიმარ-თავს) შენი ბედი, რო სახლში დამხვდი. (გუ-რანდუხტს) მიდი რა, საჭმელი დამისხი! (გურან-დუხტი გადის. ქეთინოს) პირდაპირ გეტყვი: გაპა-რება-არგაპარება კი არა, პროსტო, ციხესთან |

- ახლოსაც კი გიყრძალავ მისვლას!  
**ქეთინო –**  
მეც პირდაპირ გეტყვი: რადგან საქმე მამას  
გათავისუფლებას ეხება, ჩემს უფროსობას  
გიყრძალავ!
- ვითომ რატომ?  
**გიო –**  
**ქეთინო –**  
იმიტომ, რომ შენ ამ საქმეში მარტო დამტოვე.  
მარტო დამტოვე ერთი მიზეზის გამო... გე-  
შინია. მაგრამ, რადგან გეშინია, არც არაფერს  
გთხოვ გარდა იმისა, რომ თავი დამანებო  
და ხელი არ შემიშალო. ჩემს საქციელზე მე  
ვაგებ პასუხს.
- შენ ვააბშე იცი რა არის ციხე? ან ზონა?  
**ქეთინო –**  
მე ერთი რამ ვიცი: იქ მამაჩემი იტანჯება და  
მე, თუნდაც სიცოცხლის ფასად, უნდა გავ-  
ათავისუფლო.
- სასაცილო ხარ რა! ვინ შეგაბა ეგრე ეჟვანი?  
ვინ გითხრა, რო იქიდან შემიძლია მამაშენი  
გავაპაროო? როდის იყო ერთი ნაშის გუ-  
ლისთვის ციხიდან პოლიტპატიმრებს აპა-  
რებდნენ? ან რომც გააპაროთ, სად უნდა  
გადამალოთ, ამის აზრზე თუ ხართ? ... და,  
თუნდაც გადამალოთ, რამდენ ხანს შეინახ-  
ავთ იმ კაცს? რა, გგონია, რო მერე ოჯახის  
წევრებზე სლეუკა არ იქნება და ყოველდღე  
ბულიონს მიუცუნცულებ მამაშენს? აზრზე  
მოდი რა!
- ოთახში გურანდუხტი შემოიჭრა.**
- გურანდუხტი –** გიო, შვილო, სხვა რამეზე ილაპარაკეთ. ბიძა-  
შენი მოდის!
- ქეთინო –** (დგება) მე სახლში არა ვარ.
- გიო –** რატომ, რატომ? მამას სიცოცხლეს ვიღაც  
სტრაჟნიკს ანდობთ და მის ძმას არა?!
- ქეთინო –** მამაჩემისთვის ის მხოლოდ ბიოლოგიური  
ძმაა. (ქეთინო გადის).
- გურანდუხტი –** გიო, დედა გენაცვალოს, ოლონდ ციხიდან გა-

- პარებაზე აღარაფერი სთქვა. განა მართლა  
რამე გამოუვა, შვილო...
- გიო –** ეხლა ამბობ, არა, ასე?! ჩემთან ამბობ არა?!  
რატო იმას არ აშოშმინებ?! რატო არ ეუბ-  
ნები, რომ მამაჩვენს ზედმეტი მოუვიდა და  
ეხლა თვითონ უნდა აგოს პასუხი! რატო არ  
ეუბნები?! რო არ ეწყიონს იმიტომ, არა?! რა,  
მაინცადამაინც მე ვუთხრა?!
- გურანდუხტი –** რა გინდა ჩემგან, შვილო? მე რა შუაში ვარ?  
რაც უფრო მეტად ვცდილობ, რომ ორივეს  
გასიამოვნოთ, მით უფრო მტრად მეკიდებ-  
ით?! რით ვერ მოვიგე თქვენი გული?! ხომ არ  
უნდა მომაკვლევინოთ თავი?!
- გიო –** შენც... მონახავ ხოლმე, რა, გამოსავალს!  
ზარის ხმა ისმის. გო კარის გასაღებად მიღის.
- გურანდუხტი** (წინ და უკან დადის) – ოპ, ღმერთო, ასეთი რა  
დაგაშავე ამ გიუების გვარში რომ ჩამაგდე!  
ასეთი რა დავაშავე!  
ვალიკო შემოდის.
- ვალიკო –** გამარჯობა, გურანდუხტი.
- გურანდუხტი –** გამარჯობა, გენაცვალე. ჩემი გიო რა იქნა?
- ვალიკო –** ალბათ, სამზარეულოშია. მეპატიუებოდა (ვა-  
ლიკო ჯდება).
- გურანდუხტი –** მერე?
- ვალიკო –** არა, არა; სამსახურის მანქანა მელოდება და  
მაგის დრო არა მაქეს. უცბად მითხარი, რო-  
გორა ხართ?
- გურანდუხტი –** რა ვიცი, ჩემო ვალიკო, აბა, ვართ-ლა? აღარ  
შემიძლია. დავიღალე. რამდენი რამე უნდა  
ავიტანო, აღარ ვიცი; რომელ ერთ პრობ-  
ლემას გავუძლო, აღარ ვიცი. (თოთქმის ტირის).  
ჩემი ოჯახის მოსამსახურე მინდა ვიყო, ნუთუ  
ამის უფლება არა მაქეს?! არა ვარ, ბატონო,  
მაია წყნეთელი და მომკალით ახლა! ცალკე  
ეს ბავშვები მეცოდებიან, ცალკე ის. ვინც

გარეთა ვართ, როგორა ვართ, და ადამიანი  
ციხეში რომ იჯდება, ის როგორდა იქნება?  
**ვალიკო –** ეს არის რა! თავიდანვე ამას არ ვეუბნე-  
ბოდი?! შენ თუ თავი მოგბეზრებია, ცოლ-  
შვილს მაინც რას ერჩი, ამათ რა დააშავეს-  
მეთქი?!

იმ დღეს არ გითხარი და ამას წინათ ერთი  
ჩვენი საერთო ნაცნობის პირით შევუთვალე:  
– ე, ბიჭო, შენს ხელშია ახლა შენი ბედი! შენ  
იცი, რამდენად ჭკვიანურ და შემრიგებლურ  
გზას აირჩევ-მეთქი!.. როგორ გგონია, რა შე-  
მომითვალა? „შერიგების მხოლოდ ერთი გზა  
არსებობს, ეს არის სიმართლის ალიარება და  
სიმართლე ჩემს მხარესაა!..“

რა არის ახლა ეს? გეკითხები! მე და შენ, რა,  
არ ვიცით, რა არის სიმართლე?! ან, მე და  
შენ გვეხატება ეს მთავრობა გულზე?! მა-  
გრამ, ვითმენთ ჩვენი ოჯახების ლირსებისა  
და სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ვითმენთ!  
გიო შემოდის. ბოლო ლუკმას ლეჭავს.

**გიო –** ვალიკო?! (მხარზე ხელს დაჰკრავს) სახლში როგო-  
რა ხართ?

ვალიკო ისე უყურებს, თითქოს თვალი გაუშტერდაო.  
**ვალიკო –** (გურანდუხტს) ეჲ, წავედი, წავედი.  
**გურანდუხტი –** როდის შემოივლი?  
**ვალიკო –** რა ვიცი, შემოვივლი.

ვალიკო გადის, გურანდუხტი აცილებს. ქეთინო შემოდის.  
მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია; კაბაც გამოუცვლია,  
მაგრამ ეტყობა, რომ ეს ჩატრულობა მისთვის ბუნებრივი არ  
არის. ხელჩანთაში იქექება და მაკიაჟის გაკეთებას იწყებს.  
**ქეთინო –** წაბრძანდა შენილბული მშიშარა?

**გიო –** (ელდანაკრავივით) ვინ არის მშიშარა? (პაუზა) აუ,  
ბიძაშენზე რო ასეთ რამეს ამბობ, აზრზე ვარ,  
ჩემზე და ჩემს საძმაკაცოზე რეებს ლაპარა-  
კობ!..

|                            |   |
|----------------------------|---|
| ქეთინო –                   | საძმაკაცოზე?! ყოველ წამს „ჩემი დედა“, „ჩემი დედა“ რომ გაკერიათ პირზე; ეს იმ ძმებსა და იმ კაცებზე ლაპარაკობ? „საძმაკაცო!“  |
| გიო –                      | კიდევ, კიდევ, კიდევ რას გვეტყვით?   |
| ქეთინო –                   | ბევრს გეტყოდი, მაგრამ დრო არა მაქვს.  |
| გიო –                      | აბა, მე რას გეტყვი, იცი? თქვენს თავს მიხე-დეთ ქალებმა, გაიგე?   |
| ქეთინო –                   | ვცდილობთ, მაგრამ გვიჭირს. როგორი კაცე-ბიც გვყავს, ჩვენც ისეთები ვხდებით ძა-ლუნებურად და გვიჭირს სხვანაირები ვი-ყოთ. ქალური რომ ვიყოთ, გვიჭირს; იმიტომ, რომ მამაკაცურნი ხომ უნდა იყვნენ გარშემო, ჩვენს თავს ქალობის ნება რომ მივცეთ? ამი-ტომ აღარც ქალებად ვვარგივართ და კაცები ხომ არა და არა ვართ.   |
| გიო –                      | ეხლა ჩვენ ყველას ვერ გაგათხოვებთ-და!  |
| ქეთინო –                   | მე სულზე გელაპარაკები და არა ხორცზე (გუ-რანდული შემოდის). დედა, ლამე კარებში გას-ალები არ ჩატოვოთ; ჩემი გასაღები მიმაქვს და თვითონ გავალებ.   |
| გიო –                      | რას ჰქვია, არ ჩავტოვოთ? ვერ გავიგე?   |
| ქეთინო –                   | რა ვერ გაიგე? დღეს, თუ გამოგვივიდა, მამა ციხიდან უნდა გავაპაროთ და არ ვიცი, რო-დის დავბრუნდები.   |
| დაგვიანებული<br>მაყურებელი | უცემ პარტერში ისეთი ხმაური ატყდა, რომ მსახიობთა ყუ-რადლებაც მიიპყრო. რამდენიმე დაგვიანებულ მაყურებელს სცენასთან ახლოს არსებული კარიბან დარბაზში შემოსვლა სურს. კაპელდონერი მათ გაყვანას ცდილობს და დაბალი ხმით სთხოვს, სხვა შემოსასვლელით ისარგებლონ, მაგრამ ერთ-ერთი დაგვიანებული მაყურებელი – შუა ხანს გადაც-ილებული კაცი – ამას შეურაცხყოფად ლებულობს. |
|                            | – რა არ შეიძლება, ვისთვის არ შეიძლება, რეებს ლაპარაკობ, ქალო?!<br>კაპელდინერი ისევ ცდილობს მათ გაყვანასა და კარის   |

**დახურვას.**

**დაგვიანებული  
მაყურებელი**

(ეტყობა, რომ ნასვამია) – გაიწი, თორემ დაგფშვნი! კაპელლინერმა მოახერხა მათი გაყვანა და თვითონაც მათთან ერთად გასულმა, ზურგს უკან კარიც მიიხურა. მსახიობებმა კვლავ განაგრძეს.

**გურანდუხტი –**

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ამას რას მოვესწარი?

**გიო –**

დედა, შენ ვააბშე აზრზე ხარ, რეებს ამბობს ეს ლაწირაკი?

**გურანდუხტი –**

რა ქნას, შვილო? მამამისია და უყვარს. ბავშვია და ასეთი გზა მონახა.

**გიო –**

კაცო, შენ აქ რაღაც სენტიმენტებით გინდა, რო დამაჩიმორო და ეგ არ გამოვა! ან შენა ხარ ეგეთი ბრიყვი, რო ამ საქმისა გჯერა, ან მე გგონივარ ამის დამჯერი ბრიყვი!

**გურანდუხტი –**

მე განა მომწონს ეგ გზა, მაგრამ, რომ არ ვიცი სხვა რა გზას დაადგეს?!

სცენაზე მოულოდნელად შუახანს გადაცილებული, დაგვიანებული მაყურებელი შემოიჭრა.

**დაგვიანებული  
მაყურებელი**

– წადი, შე ნაგავო!

კაპელლინერი წინ გაწვდილი ხელებით ინსტინქტურად შემოჰყვა, მაგრამ მოულოდნელად სცენაზე აღმოჩენილი, შეცბუნებული შეჩერდა და უკან დაიხია, თუმცა ბოლო წამს, დაგვიანებულ მაყურებელს გასაყვანად მიეჭრა. დაგვიანებულმა მაყურებელმა თავში ჩაარტყა. კაპელლინერი სცენაზე დაეცა.

**დაგვიანებული მაყურებელი** – უყურე ამ დურაკებს! ქართულ თეატრში აღარ მიშვებენ!

კაპელლინერი ოდნავ წამოიწია, თავზე ხელი მიიღო და პარტერის სილრმეს მიაპყრო მზერა.

**დაგვიანებული  
მაყურებელი**

– მე აქ თუნდაც ერთ ადამიანს რომ არ ვუნდოდე, თუნდაც ერთს, სულ არ შემოვიდოდი!

|              |  |   |
|--------------|--|---|
|              |  | კაპელლინერი ნელა წამოდგა და მარჯვენა კულისისკენ<br>დაიხია.  |
| კაპელლინერი  |  | (მაყურებელსაც და სცენაზე მყოფ მსახიობებსაც) –<br>უკაცრავად, მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი.   |
| დაგვიანებული |  |   |
| მაყურებელი   |  | (მსახიობებს) – კაცო, თქვენ განაგრძეთ თქვენი<br>თამაში; მე განა ხელს შეგიშლით; მხოლოდ აქ<br>ჩამოვჯდები, რა, ხომ შეიძლება?                                      |
| გიო –        |  | (მსახიობები თვალებსაც აღარ ასმსამებენ)  |
| გურანდუხტი – |  | შექსპირის დროს ხომ ისხდნენ ვიღაც-ვი-<br>ღაცები სცენაზე?! (პაუზის შემდეგ გიოს როლს<br>შემსრულებლისკენ გადადგა ნაბიჯი) რას მიყურებ,<br>რა, შეგჭამ?!             |
| გიო –        |  | გიოს როლის შემსრულებელი შეკრთა და პარტნიორებს<br>გადახედა.  |
| გურანდუხტი – |  | რა ვქნათ, დედა?   |
| ქეთინო –     |  | რაზე ამბობ, შვილო?  |
| გიო –        |  | რა ვუყოთ ამ... რა ვუყოთ ამ გოგოს?   |
| გურანდუხტი – |  | რა უნდა ვუყოთ, შვილო, ხომ ვერ დავაბამთ?!<br>ქეთინის როლის შემსრულებელი პიესიდან ასეთ გადახ-<br>ვევას არ ელოდა. ჯერ გიოს შეხედა, შემდეგ გურანდუხტს.<br>მამა?.. |
| ქეთინო –     |  | დაგვიანებული მაყურებელი კრაყოფილი ღიმილით ტახ-<br>ტისკენ მიიპარება.   |
| გიო –        |  | რა, მამა?   |
| ქეთინო       |  | (ქეთინომ თვალი გააყოლა დაგვიანებულ მაყურებელს) –<br>მამა რას იტყვის?  |
| გიო          |  | (დამფრთხალმა) – რომელი მამა?  |
| ქეთინო –     |  | განა, რამდენი მამა გვყავს?  |
| გურანდუხტი   |  | გიო და ქეთინო გურანდუხტს შეხედავენ.   |
| გიო –        |  | (შეკრთა) – ჩემგან რა გინდათ?!   |
| გურანდუხტი – |  | მამას წერილი!   |
|              |  | აჲ! ჰოო! ვაი, ღმერთო! ეს რა მომივიდა?   |
|              |  | (ჯიბეებში იქექება. ქეთინო სცენიდან გასვლას აპირებს)<br>შვილო, ქეთინო, არ წახვიდე! შენთვის წერ-  |

ილი მაქვს... უფრო სწორედ, მამაშენსა აქვს შენთვის წერილი გამოგზავნილი! (გურანდუხტი ისე დაბნა, რომ ვერაფრით დაუბრუნდა ნაცნობ სიუჟეტს) არა, შენთვის კი არა, მე გამომიგზავნა, მაგრამ შენზეც წერია. (წერილი სახელოში იპოვა) აი, ნახე, ნახე, შვილო, ეს ადგილი!... „გურანდუხტ, ჩემო სიცოცხლე, ქეთევანი როგორა მყავს? რამდენჯერმე ისეთი სიზმარი ვნახე, გახსენებაც კი არ მინდა. გიორგის ჩააგონე, რომ მე არა ვარ სადარდელი. იმდენად მართალი ვარ ღმერთისა და სამშობლოს წინაშე, რომ ჩემი სიმართლე გამომიყვანს ციხიდან. გიორგის საზრუნავი ახლა მისი და უნდა იყოს“.

### დაგვიანებული მაყურებელი

გიო

ქეთინო –

(ტახტზე ხელებდაყრდნობილი ზის. თავჩაკიდებულს თვალები დაუხუჭავს და ოდნავ ირწევა) – კაცური კაცი! (ჯერ დაგვიანებულ მაყურებელს გახედა, შემდეგ – ამაყად) – აბა, მაში მე რას ვაკეთებ?!

შენ რას აკეთებ? დედას ისე სთხოვ ფულს, თითქოს მილიონი ჰქონდეს შემოსავალი. რაც გასაყიდი იყო, ყველაფერი გააყიდვინე. თუ ვინმესგან მამაჩვენის ხათრით შეიძლებოდა ფულის სესხება, ისესხე და შემდეგ ის ფული არც ოჯახს მოახმარე და არც შენს თავს. ის კი არა, ისევ დედის კისერზე ხარ და სინანულსაც კი არა გრძნობ, რომ ჩვენი ოჯახის ფული ვიღაც ქუჩის ბიჭებს დაახარჯე.

დაგვიანებული მაყურებლისგან ხმადაბალი ხვრინვა მოისმა. მსახიობებს ეს არ გამოჰპარვიათ და მიუხედავად სცენაზე მჯდარი უცხო ადამიანისა, საბოლოოდ, შვებით დაუბრუნდნენ ნაცნობ სიუჟეტს.

გიო –

კაცო, შენ რას გადაეკიდე ამ ჩემს ძმაკაცებს? ან ამ „ქუჩა, ქუჩას“ რო გაიძახი... შენ, ქუჩა, მართლა, „ქუჩა“ ხომ არ გგონია?! ქუჩა აკადემია! შენ იცი, რას აძლევს კაცს ქუჩა?!

|                            |   |
|----------------------------|---|
|                            | შენ ამაზე დაფიქრებულხარ?! ან ვის იცნობ<br>შენ ქუჩის ბიჭს ისეთს, ვინც შენს წინაშე ჩაი-<br>ჭრა?! ვის?!  |
| ქეთინო –                   | შენ.  |
| გიო –                      | რაში?!  |
| ქეთინო –                   | რატომ უნდა ვფიქრობდე მამას ციხიდან<br>გამოხსნაზე მხოლოდ მე?   |
| გიო –                      | აზრზე მოდი! ის კაცი ჩესნად იბრძოდა?! –<br>იბრძოდა! მერე, გაჭედეს?! – გაჭედეს! რახან<br>ეგრეა, ეხლა ბოლომდე უნდა შეიყვანოს თუ<br>არა?! – უნდა შეიყვანოს! შენ?! შენ აქ რა<br>შუაში ხარ?! შენ ვიღაც სტრაუნიკი დაგევა-<br>სოს და იმასთან გორაობა მოგინდეს, ოჯახი<br>რა შუაშია?! ტოჟე მნე, მამის გამპარებელი,<br>გულის გამხარებელი. (ხელჩანთას წართმევა)<br>სახლში დაჯექი, ერბოკვერცხი ჭამე. |
| ქეთინო                     | (წყნარად) – მომეცი ჩანთა.   |
| გიო –                      | მიდი, კოჭი გააგორე...   |
| ქეთინო                     | (წყნარად) – ... ან მამა შუალამისას ციხეს და-<br>ტოვებს, ან მე – სიცოცხლეს.<br>ოჯახის წევრები გაშრენ.  |
| გიო –                      | დაგბრიდავ, შენი!!   |
| დაგვიანებული<br>მაყურებელი | (ჭახტიდან წამოდგა. თითქოს უფრო დამთვრალა) – ვის<br>დაბრიდავ, ბიჭო?  |
|                            | დაგვიანებული მაყურებლის სიტყვების გაგონებაზე გიო<br>მაშინვე შეჩერდა. ჯერ გურანდუხტს შეხედა, შემდეგ –<br>ქეთინოს.  |
| დაგვიანებული<br>მაყურებელი | – ვისი დამბრიდავი ხარ, ბიჭო, შენ?   |
| გურანდუხტი –               | გიო გაფითოდა. კულისებისკენ გაიხედა. მშველელს ეძე-<br>ბს. დაგვიანებული მაყურებელი დაჯდა და მაშინვე თავი<br>ჩაქინდრა. გურანდუხტი გონს მოეგო. წამოდგა.<br>შვილო, გიო...  |
|                            | დაგვიანებულმა მაყურებელმა თავი ასწია და გაიხედა   |

თუ არა გურანდუხტისკენ, უკანასკნელი მაშინვე ცივად დაეშვა ადგილზე.

**დაგვიანებული  
მაყურებელი –**

როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, რატომ დაჯექით? განაგრძეთ, თქვენი ჭირიმე. თქვენი პროფესიის ადამიანებს მე ისეთ პატივს ვცემ და მით უმეტეს, თქვენ, რომ რაზეა ლაპარაკი? განაგრძეთ, თქვენი ჭირიმე. ოლონდ, აქ ვიჯდები რა? ვეღარ მივდივარ. რა მოხდა მერე? მთვრალი ვარ, რა!

გიო

(დაგვიანებული მაყურებლის სიტყვებით გულმოცე-  
მული) – მერე, თუ ვეღარ მიდისარ, გაგიყვან  
(გიოს სიტყვების გაგონებაზე დაგვიანებულ მაყურებელს  
სახე ისე მოექმუხნა, თითქოს თავში ჩაარტყესო). შენ  
გეუბნები, ჩვენი ძმა!

**დაგვიანებული  
მაყურებელი –**

ვინ არის, ბიჭო, შენი ძმა? როგორ ლაპარა-  
კო? სადა გვინია შენი თავი, შე ქვეშაფსია?!  
(მაყურებელს გახედა და ნაძალადევად გაილიმა) – შენ  
როგორ გვინია, შენ სადა ხარ?

**დაგვიანებული  
მაყურებელი –**

მე იქა ვარ, სადაც ბილეთი ავიღე.  
მერე, სად აიღე ბილეთი, შე ქლიავო?

**დაგვიანებული  
მაყურებელი –**

ტუალეტში.  
სადა?!

**დაგვიანებული  
მაყურებელი –**

თეატრში შესასვლელი ბილეთი ავიღე, რომ  
ტუალეტში შევსულიყავი.

პაუზა.

**გურანდუხტი –**

მერე, მიგიყვანთ, ჩემო ბატონო, იმ ტუ-  
ალეტთან და ეგ იქნება!

**დაგვიანებული  
მაყურებელი –**

არ გეკადრებათ, ქალბატონო...  
ჰა ჰა ჰა ჰა ჰა!

გიოს სიცილზე დაგვიანებულ მაყურებელს სახე კვლავ  
მოეჭმუხნა და თავი მხრებში ჩარგო.

**დაგვიანებული**

**მაყურებელი –**

**გიო –**

ტუტ! შე ნაბიჭვარო!

ეხლა შენ ბევრი ნუ გაახურე, თორე...  
პაუზა.

**დაგვიანებული**

**მაყურებელი –**

**გიო –**

რისი თქმა გინდოდა შე...

ეხლა შენ ან ტუალეტში წახვალ, ან...

**დაგვიანებული**

**მაყურებელი –**

ტუალეტში ვერ წავალ იმიტომ, რომ იქ ჯერ  
ქალი შევიდა და მერე მთელი თქვენი ადმინ-  
ისტრაცია.

**გურანდუხტი –**

არა, ბატონო, იქ რიგრიგობითაა. რადგან  
მხოლოდ ერთი ტუალეტი დაგვრჩა, ამიტომ  
შესვენების პირველი შვიდწუთნახევარი ქა-  
ლებისთვისაა, ხოლო მეორე შვიდწუთნახ-  
ევარი – მამაკაცებისთვის. ისე რომ, ეხლა  
უკვე თავისუფალი იქნება. მით უმეტეს, უკვე  
სპექტაკლი მიმდინარეობს.

**დაგვიანებული**

**მაყურებელი –**

**გურანდუხტი –**

იქ მთელი თქვენი ადმინისტრაციაა.

მთელი ჩვენი ადმინისტრაცია იქ რას დაეტე-  
ვა, ბატონო!

**დაგვიანებული**

**მაყურებელი –**

არ ვიცი... იმ ქალის შესვლის მერე რაღაც  
მოხდა და მთელი თქვენი ადმინისტრაცია იქ  
მივარდა.

... ჰოდა, ყველაფერ ამის მერე დარბაზში  
ჩემი შემოშვებაც არ უნდოდა იმ ნაგავს!!

აქ შენს გარდა სხვებიც არიან!

**გიო –**

**დაგვიანებული**

**მაყურებელი –**

**გიო –**

ვის ასწავლი ჭკუას, შე... შე... არავინ!

შენ ავად ხომ არა ხარ?!

**დაგვიანებული**

- მაყურებელი –** ავად მე კი არა, შენა ხარ, რო მართლა არა-  
ვინა ხარ სიყალბის გარდა.  
**გიო** (პარტერის კარისკენ მიუთითა) – გადი აქედან!  
**დაგვიანებული**  
**მაყურებელი –** მაგას ჯერ კიდევ გავარკვევთ, ვინ გავა და  
ვის გაიტანებ... მანამდე კი შენ უნდა შეიგნო,  
რომ როცა რეჟისორი რამეს გეუბნება, ის კი  
არ გლანძლავს, არამედ – გასწავლის!.. აი,  
უბრალოდ გიხსნი: მამაშენი ციხეშია გამომ-  
წყვდეული. არადა, მამაშენი არ იყო იქ ჩასა-  
სმელი კაცი. არის შანსი, რომ მამაშენი ციხი-  
დან გააპარონ... რას იზამ შენ? არ იჩალიჩებ,  
რომ ესეთი საქმის გამკეთებელს შეეკრა? ჰა?!  
**რა** შტერივით მიყურებ?!.. რას იზამდა ჰამ-  
ლეტი?! თუ თვითონ არაფერს იზამდა, ოფე-  
ლიას ხელს შეუშლიდა ამ საქმის დატრიალე-  
ბაში?! (ცურანდუხტის შემსრულებელს) ეს შტერი  
ვერაფერს მპასუხობს და ამიტომ თქვენ  
მოგმართავთ, ქალბატონო ციცო. თქვენ  
რას იტყვით?! სხვათა შორის, მე ყოველთ-  
ვის მინდოდა თქვენთან დეზდემონას როლზე  
მუშაობა, მაგრამ ეხლა მოვეშვათ ამას; ამის  
დროც მოვა! ეხლა მარტივ ეტიუდზე გავის-  
აუბროთ. აბა, გისმენთ!
- გურანდუხტი,** იგივე – ქალბატონი ციცო – ბატონო კაკო!  
 (ქალბატონი ციცო ფეხზე ნამოდგა). ბატონო კაკო!  
 დედა, ეს რა მომივიდა?! როგორ ვერ გი-  
ცანით?! თუმცა, არც ჩემი ბრალია! თქვენ  
იმდენი ხანია რაც სხვა ქალაქებში დგამთ  
სპექტაკლებს, რომ ჩვენ ისე დავრჩით...  
 უთქვენოდ!
- დაგვიანებული**  
**მაყურებელი,** იგივე – ბატონი კაკო (წამოდგა, სიმთვრალისგან  
 დაბარბაცდა, მაგრამ გასწორდა, ცალი ხელი შარვლის ჯიბე-  
 ში ჩაიყო) – არაფერია. ყველაფერი ჯერ კიდევ

|             |  |
|-------------|--|
|             | წინ არის. ჩვენ, ყველაფერს გამოვასწორებთ.<br>ვნახოთ, ვნახოთ!  |
| ქ-ნი ციცო – | ყველაფერს განახებთ. მთელ მსოფლიოს!<br>ჩვენ გავამდიდრებთ მსოფლიოს ჩვენი კულ-ტურით!! მაგრამ ამას მუშაობა, ამას პრძოლა უნდა! აი, მაგალითად შენ, ყმაწვილო! ...პარ-დონ, თქვენი სახელი?  |
| ბ-ნი ციცო – | ჩემი პირადი, თუ პერსონაჟის?<br>სულერთია. მთავარია, ვიმუშაოთ!   |
| გიო –       | სამუშაოდ... გიო.   |
| ბ-ნი ციცო – | ჩემო, ბატონო გიო! ეტყობა, არც ერთ რე-ჟისორს არ უცდია თქვენი ძირითადი ბირთ-ვის ამოხსნა. ...ნუ, მე არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს ჩემს კოლეგებს ვლანძლავ. არა, ეს თვისება მე არ მახასიათებს. მაგრამ თქვენს შემთხვევაში გაოცებას იწვევს ის ფაქტი... მე იმის თქმა მინდა... რომ იმ მასალასთან მიახლოებისას, რასაც მსახიობი ჰქვია, უპ-ირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ ძირითადი ფსიქო-ფიზიკური ბირთვის ამოხსნა, რასაც ესა თუ ის მსახიობი, როგორც ინდივიდი, პი-რად მუხტად ატარებს. |
|             | პაუზა.   |
|             | ხომ არ დაიბენით? ხომ მომყვებით აზროვნე-ბაში?!  |

**ქ-ნი ციცო**  
**და გიო**  
**ბ-ნი ციცო (გიოს)**

(თოთქმის ერთხმად) – რა თქმა უნდა!  
– მაშინ, საჭიროა გავარკვეიოთ, თუ რა-ტომ ეწინააღმდეგებით იმ შესანიშნავ არსე-ბას, თქვენი და რომ ჰქვია. არადა, მე ხომ ვერაფერს გამომაპარებთ! მე ხომ ვგრძნობ, რომ აქ ყველაფერი სხვანაირად არის! თქვენი დის ყოველი თხოვნა დახმარებაზე – ეს ხომ მისი ქვეცნობიერის ძახილია! მართალია, ის მამის დახმარებაზე ლაპარაკობს, მაგრამ მისი

ქვეტექსტი ხომ სხვა არის?! მას ხომ თქვენ უნდიხართ! მსახიობები თითქოს გაქვავდნენ. ვერ გაიგეთ. კარგით! პიჯავს იხდის და პერანგის სახ-ელოებს იკაპინებს. მომიტანეთ სკამი! გიომ დაას-წრო ქალბატონ ციცოს. ბატონმა კაკომ პიჯავი ძლივს გა-დაკიდა სკამის საზურგებელ და ორივე ხელი მაღლა ასწია. ყურადღება! ვიწყებ ფილიგრანულ მუშაობას მსახიობებთან! ბატონ კაკოს სკამზე უნდოდა დაჯ-დომა, მაგრამ ნახევრად ჩიმომჯდარი ძირს დაეცა. გიომ და ქალბატონი ციცო მიცივდნენ და წამოაყენეს.

**ქ-ნი ციცო –**

**ბ-ნი კაკო –**

**გიო –**

**ბ-ნი კაკო –**

**გიო –**

**ბ-ნი კაკო –**

**გიო –**

**ქეთინო (გიოს)**

**გიო –**

**ბ-ნი კაკო –**

**გიო –**

**ბ-ნი კაკო –**

კსჩასტიუ! კსჩასტიუ!

აქ მე თქვენი დახმარება არ მჭირდება. თქვენ-გან დახმარება ის იქნება, სცენაზე რომ კარგად ითამაშებთ! (გიოს) აბა... ჰმ... რა დაგარქვით?

**გიო!**

გიო? რაღაც, არ მახსოვს. მაგრამ, კარგი, იყავი ჯერ გიო! (ქეთინოს) ხოლო თქვენ, მშვე-ნიერო არსებავ?

ქეთინო არ პასუხობს.

ქეთინო ჰქევია, ქეთინო!

დიახ, ქეთინო! მე ყველაფერი მახსოვს!

ავილოთ იმ ტექსტიდან, როცა ძმას ციხიდან გამოხსნაზე ელაპარაკებით.

სიჩუმე.

მიდი, ქეთუშ, დაიწყე!

– ვერ გავიგე, შენ... რას აპირებ? გინდა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყო?

არა, მაქედან არ უნდა ბატონ კაკოს.

რაშია საქმე? (გიოს) რატომ უთითებთ მსახ-იობს? ბოლოს და ბოლოს ვინა დგამს აქ სპექტაკლს? შენ თუ მე?!

იცით, რაშია საქმე, ბატონო კაკო... მე მგონი, ქეთუშამ არასწორად გაიგო. მე მგონი, თქვენ სხვა ეპიზოდის თამაშს ითხოვთ.

არავითარ თამაშს მე არ ვითხოვ! მე ვითხოვ იმ

|                  |  |
|------------------|--|
|                  | ტექსტს, სადაც გათავისუფლებაზეა ლაპარაკი!   |
| გიო –            | დიახ, დიახ, მაგრამ მე ვამბობ, რომ...   |
| ბ-ნი კაკო –      | არ მაინტერესებს რას ამბობთ თქვენ! აქ მთავარია, რას ვამბობ მე!  |
| გიო –            | უბრალოდ, იმ ტექსტზე, თქვენ ჯერ არ იყავით დარბაზში... შემობრძანებული.   |
| ქეთინო (გიოს)    | – ამისხენი... შენ ახლა... დაიბენი თუ შეგე-შინდა?   |
| ბ-ნი კაკო (გიოს) | – აი, ხედავთ, რას ნიშნავს ნიჭი?! ეს მშვე-ნიერი არსება ყველაფერს ხვდება! (ქეთინოს) დაიწყე, ჩემო კარგო!  |
|                  | სიჩუმე.  |
| ბ-ნი კაკო (გიოს) | – შენგან ავიღოთ. რეპლიკა მიეცი.  |
| გიო –            | ჩემგან? კი, ბატონო.  |
|                  | კაცო, შენ რას გადაეყიდე ამ ჩემს ძმაკაცებს. ან ამ „ქუჩა, ქუჩას“ რო გაიძახი... შენ, ქუჩა მარ-თლა „ქუჩა“ ხომ არ გგონია?! ქუჩა აკადემია! შენ იცი, რას აძლევს კაცს ქუჩა?! შენ ამაზე დაფიქრებულხარ?! ან ვის იცნობ შენ ქუჩის ბიჭს ისეთს, ვინც შენს წინაშე ჩაიჭრა?! ვის?! შენ!!            |
| ქეთინო –         | რაში?! (ქეთინო გვერდზე გადგა)  |
| გიო –            | აქ, ქეთინოს ესეთი ტექსტი აქვს: – „რატომ უნდა ვფიქრობდე მამის ციხიდან გამოხსნაზე მხოლოდ მე?“ რაზეც მე უნდა ვუპასუხო: – აზრზე მოდი! ის კაცი ჩესნად იბრძოდა?! – იბრძოდა! მერე, გაჭედეს?! – გაჭედეს!..   |
| გიო –            | სტოპ!  |
| ბ-ნი კაკო –      | აი, ჩემი სიტყვების დასტური! აი, ქვეცნო-ბიერის ძახილი! ქეთინო, ხომ გესმით ჩემი? (გიოს) მამის ციხიდან გამოხსნა მითია! ლეგ-ენდა! რომელშიც დებილი მამის ბედი არც არის საინტერესო! მაგ ტექსტით... როგორ არის? „რატომ უნდა ვფიქრობდე მამის ციხი-დან გამოხსნაზე მხოლოდ მე“, არა?! აი, მაგ |

ტექსტის ქვეტექსტია: „რატომ უნდა მინდო-  
დე მხოლოდ მე?! რატომ არ უნდა გინდოდე  
შენც?! და, ბოლოს და ბოლოს, რატომ არ  
უნდა მხედავდე მე როგორც ქალს?!“

პაუზა.

- ქ-ნი ციცო –** ეეჲ, ბატონო კაკო. გიყურებთ და ვფიქრობ:  
– რამდენი რამ დაკარგა ჩვენმა თეატრმა  
უთქვენოდ.
- გიო –** ... ჰომ, მაგრამ, ბატონო კაკო, მანამდეც და  
მერეც პიესაში ისეთი ტექსტებია, რომ მაგ  
ქვეტექსტზე, მგონი, არ ჯდება.
- ბ-ნი კაკო –** პიესა უნდა დახიოთ და გადააგდოთ! რაღა  
საჭიროა პიესა, როცა აქ მე ვარსებობ! მა-  
გრამ, რადგან შენ ასეთი ურწმუნო თომა ხარ,  
დამიმტკიცე, რომ ამ ქვეტექსტზე არ ჯდება!  
აი, მანამდე ქეთუშას ისეთი ტექსტი აქვს,  
რომ... სთქვი, რა, ქეთუშ!
- ქეთინო ხმას არ ილებს.**
- ბ-ნი კაკო (გიოს) –** თვითონ სთქვი, ხომ იცი ზეპირად?
- გიო –** ნუ, აი... რომ, დედას ფულსა სთხოვ და...  
ყველაფერი გააყიდვინე და... ფულები ისესხე  
და... მერე მთელი ფული ვიღაც ქუჩის ბიჭებს  
მოახმარე და, აი, ესეთი ტექსტები რა...
- ბ-ნი კაკო –** მერე?! ეს ხომ პირდაპირი დასტურია იმისა,  
რასაც მე ვამბობდი ერთი წუთის წინ. მაგ  
ტექსტში ხომ მთელი ინფორმაციული კოდია  
ჩადებული! „ოჯახის ფული, ვიღაც ქუჩის ბი-  
ჭებს მოახმარე!“ ეს ხომ ეჭვიანობის ზენიტია!  
მართალია, მან იცის, რომ თქვენ არა გაქვთ  
თქვენს ძმაკაცებთან სქესობრივი კავშირი,  
მაგრამ ის გიუდება, რომ ეს კავშირი არა  
გაქვთ მასთან!
- გიო –** ჰომ, მაგრამ, ბატონო კაკო...
- ბ-ნი კაკო –** რა „ჰომ – მაგრამ“?! რას ნიშნავს ეს ურთ-  
იერთსაწინააღმდეგო სიტყვები: – „ჰო“ და

„მაგრამ“?! თუ „ჰომ“, მაშინ ჩვენ ერთნაირი კანი გვაქვს სხეულზე და ამ ჩვენი ერთნაირი ეპიდერმისის წყალობით შეგვიძლია ერთნაირად აღვიქვათ სამყარო და, ამდენად, შეგვიძლია ვითანამშრომლოთ კიდეც! მაგრამ, თუ – „მაგრამ“?!..

მე მინდა მოგახსენოთ, რომ ის, რასაც თქვენ სცენაზე აკეთებდით, დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არა იმ სპექტაკლისთვის, რომელსაც ეხლა ჩვენა ვდგამთ. ამიტომ მე გთავაზობთ, მშვიდობიანად გაეცალოთ აქაურობას.

**გიო –** ბატონი კაკო, მე ხომ, უბრალოდ, შეკითხვა დაგისვით და...

**ბ-ნი კაკო –** მე – ქლიიავი მსახიობი არა მჭირდება. (გამოაჯავრა და დაახლოებით ისე უთხრა, როგორც ცოტა ხნით ადრე გიომ).

**გიო** (ცდილობს ისე ილაპარაკოს, რომ მაყურებელმა ვერ გაიგოს) – ბატონი კაკო, მაპატიეთ რა, ნუ მომხსნით როლიდან რა... დუბლიორად მაინც დამნიშნეთ. გამოვსწორდები რა... (თოთქმის ტირის) დღეს ხომ მაყურებელია მოსული და სპექტაკლს მაინც ვერ დადგამთ...

**ბ-ნი კაკო –** ვინ მაყურებელია მოსული? (პარტერისკენ მოხედა) ამ ხალხს აქ რა უნდა? აქ ვინ შემოგიშვათ? ეს სადაური წესრიგია? სად არის ადმინისტრაცია?! აჲ, თუმცა, ადმინისტრაცია ხომ ტუალეტშია! (გიოს) არაფერია, იყოს მაყურებელი. ეხლა, როცა ჩვენ გადავდივართ ფსიქო-ფიზიკურისა და ფსიქო-ქვეცნობიერ-სექსუალურის მიხედვით სცენების ქმედითი ანალიზით აგებაზე, ეს ხალხი ეზიარება იმ დიდ კულტურულ მონაპოვარს, რომელიც კაცობრიობას ჩვენმა ეპოქამ მოუტანა. (მაყურებელს) იყავით, იყავით და კიდევ ერთხელ – იყავით! თქვენ, ყველანი, ცოცხლები იქნებით და

ნახავთ, თუ როგორ გაიმარჯვებს ეს თეატრი! თუნდაც იმ იმპროვიზაციებით გაიმარჯვებს, რომელსაც მე აქვე ხელის ერთი მოსმით შევქმნი! პასუხისმგებლობას კი ჩემს თავზე ვიღებ! ჩემს თავზე!

ეხლა კი გიოს როლის პრეტენდენტი მოვძებნოთ. (თვალები ხელით მომწრდილა და პარტერის თვალიერება დაიწყო). თქვენც აქა ხართ, ჩემო უდლეველო ლომებო?! (პარტერში, სცენას მოშორებული შემოსასვლელიდან, სიბრელეში, სხვადასხვა ხმა გაისმა: „აქა ვართ, აქ!“, „აბა რა!“) ხომ შეგიძლიათ გიოს როლის თამაში?! სიბრელეში კვლავ გაისმა სხვადასხვა ხმა: – „რა თქმა უნდა“, „აბა რა!“ „ეე, მაგის თამაშს რა უნდა!“.

– მაში, მოდით, რომელსაც გინდათ და დაიკავეთ ადგილი! რამდენიმე პრეტენდენტი სცენისკენ გაემართა, მაგრამ ერთი დაწინაურდა. დანარჩენები გაურკვეველი ბუზლუნით გატრიალდნენ. მხოლოდ ერთ-ერთის ნათქვამი ისმის: – „მივიდეს ერთი, მივიდეს“.

– მოდი, ჩემო ლომო, მოდი. (დაწინაურებული როგორც კი ავიდა კიბეზე და სცენაზე დადგა ფეხი, სიმთვრალისგან დაბარბაცდა და ძირს დაეცა. ბატონი კაკო მისი მაჯისცემის გასასინჯად დაიხარა. გაგდებული გიო ის იყო სცენის დატოვებას მარცხენა კულისიდან აპირებდა, რომ მარჯვენა კულისში რაღაცა შენიშნა და შეჩერდა. შეძრნუნებულმა მოხედა სცენაზე მყოფ და ნანახისკენ ხელი გაიშვირა, მაგრამ როცა დაიხახა, რომ ქალბატონი ციცო გატაცებით ელაპარაკება ქეთინოს, ხოლო ბატონი კაკო ძირს დავარდნილი პრეტენდენტით არის დაკავებული, ხელი ჩაიქნია და მარჯვენა კულისისკენ გაიქცა.

ბატონი კაკო პარტერში მყოფ თანამზრახველებს მიმართავს: – აბა ვინ არის შემდეგი?! სცენაზე გიო გამოჩნდა. მას ჩვენთვის ნაცნობი კაპელლინერისთვის

იღლიებში ამოუდვია ხელები და მარჯვენა კულისიდან  
მარცხენა კულისისკენ მიათრევს გონდაკარგულს. ბა-  
ტონმა კაკომ კვლავ მიმართა პარტერში მყოფ თანამზ-  
რახველებს: – კიდევ რომელს გსურთ, რომელს?!

### პირველი

პრეტენდენტი – რას აკეთებ, სიმონ.

### მეორე

პრეტენდენტი – მე რა შუაში ვარ? პირველმა ეგრე თქვა.  
პირველმა პრეტენდენტმა სახეში გაარტყა მეორე პრე-  
ტენდენტს.

### მეორე

პრეტენდენტი – ეე!

პირველმა პრეტენდენტმა განმეორებით გაარტყა მეორე  
პრეტენდენტს, მაგრამ მეორე პრეტენდენტმა ახლა კი  
ხელი გამოილო. ბატონი კაკო ჩხუბს ლიმილით უყურებს.  
მოულოდნელად მოპირდაპირე მხარეს ხმაურით გაილო  
ის კარი, საიდანაც ბატონი კაკო და მისი თანმხლები  
პარტერში დაგვიანებით ლამობდნენ შემოსვლას, მაგრამ  
ამჯერად ვალიკოს როლის შემსრულებელი შემოიჭრა,  
დაბალ, ჩამრგვალებულ კაცთან ერთად; მათ გიო შემო-  
ჰყვა.

ვალიკო –

რა ხდება აქ?!

ბ-ნი კაკო –

ვაუბატონო, მეც სწორედ ეს მინდა შე-  
გეკითხოთ! როგორ ბედავთ დაუკაუნებლად  
რეპეტიციაზე შემოსვლას?!

მე თუ არა მცემთ პატივს, ხალხს, ხალხს

მაინც არ უნდა სცეთ პატივი?!

**დაბალი,**

**ჩამრგვალებული**

**კაცი –**

**ქ-ნი ციცო –**

ჩამოდი მაქედან, შე ვირიშვილო შენა!

ვალიკო! ზალიკო! თქვენი ჭირიმე, ასე ნუ  
მიმართავთ! თქვენს წინაშეა საქვეყნოდ ცნო-  
ბილი რეჟისორი – კაკო გელეყვა!

ბატონო კაკო, არ გეწყინოთ, გაიცანით – ეს,  
ვალიკოს როლის შემსრულებელია, ხოლო  
ზალიკო, ჩვენი ადმინისტრატორია.

**პირველი**

**მაყურებელი –**

კაცოუ! მე მეგონა, თქვენა აქა რალაცა  
თეატრსა თამაშობდით და ესა ტყუილია?!

**ვალიკო –**

არა, ბატონო. რა სპექტაკლი, რის სპექტაკ-  
ლი. ის, რაც მე ჩემი კოლეგისგან გავიგე...  
(გიოზე ანიშნა) უბრალოდ... არც კი ვიცი რო-  
გორა ვთქვა...

**მეორე**

**მაყურებელი –**

მერე, ჩემო ბატონო; აქამდე სად ბრძანდე-  
ბოდით, ასე რომ დაგვყარეთ ამდენი ადამი-  
ანი?!

**დაბალი,**

**ჩამრგვალებული**

**კაცი, იგივე –**

**ზალიკო –**

რა ჩვენი ბრალია, ქალბატონო?! ერთი ტუა-  
ლეტი ძლივს შევინარჩუნეთ და წელან იმა-  
საც ძირი საძირკველში ჩაუვარდა! რომელი  
ერთისთვის მიგვეხედა?! დარბაზისთვის თუ  
ტუალეტისთვის?!

**მეორე**

**მაყურებელი**

**ზალიკო**

(ამაყად) – დარბაზისთვის!

(გაპრაზებული) – რატო, რა?! თქვენ რო ჩავარდ-  
ნილიყვით, არ უნდა მოგშველებოდით?! შიგ  
უნდა ჩამხრჩვალიყავით?! რაც იმ ქალის გოგომ  
იტირა, მარტო იმის ცოდვით დაიწვებოდით!

|                                |  |
|--------------------------------|--|
| <b>მეორე<br/>მაყურებელი</b>    | (დარბაზში მსხდომთ) – მოიგონებენ ხოლმე რა-<br>ღაცას...  |
| <b>ზალიკო –</b>                | ვინ მოიგონებს?! მეე?!<br><b>ზალიკო დარბაზიდან გაიქცა.</b>  |
| <b>ვალიკო</b>                  | (მეორე მაყურებელს) – ქალბატონო, სამწუხ-<br>აროდ, ეს მწარე სინამდვილეა.<br>უშუალოდ სპექტაკლის დაწყების წინ ერთ-<br>ერთი მაყურებელი, იგი მანდილოსანია, ტუა-<br>ლეტში იყო სწორედ იმ დროს, როცა ტუალე-<br>ტის იატაკი საძირკველში ჩავარდა; რომ არა<br>ტუალეტში მყოფი ქალბატონის გოგონა, ჩვენ<br>შეიძლება ეს ამბავი ძალიან გვიან გაგვეგო,<br>რადგან დანარჩენი მაყურებელი უკვე დარბა-<br>ზში იყო შემოსული.  |
| <b>მესამე<br/>მაყურებელი –</b> | მე ვერ გავიგე, ჯერ ერთი, ამ შენობას თუ<br>ძირი აქვს გამომპალი, რა გესპექტაკლებათ?!<br>შემდეგ მეორე – ეს შემოჭრილი ადამიანი,<br>რომელსაც აქ საქვეყნოდ ცნობილ რეჟისო-<br>რად გვაცნობენ, რატომ აძლევს თავის თავს<br>იმის უფლებას, რომ ის სიუჟეტი, აქ რომ უნდა<br>განვითარებულიყო, მისი შემოჭრით დაირ-<br>ღვეს და, რაც განსაკუთრებით საოცარია...<br>(თვალი მოავლო დარბაზში მყოფ ავტომატიან პრეტენდ-<br>ენტებს) ნუ... იცით... ცალ-ცალკე თითოეული,<br>როგორც აქ მათ უწოდეს, პრეტენდენტთა-<br>განი, მესიმპათიურება, მაგრამ გაუგებარია,<br>ასეთ ცნობილ რეჟისორს შემოყოლილი ადა-<br>მიანები რატომ მართავენ აქ მუშტი-კრიკს?<br>აი, ეს სამი საკითხი ჩემთვის აბსოლუტურად<br>გაუგებარია.<br>ვალიკომ და გიომ პარტერში შემოსასვლელი ღია კარი-<br>დან გაიხედეს. გიომ სწრაფად დატოვა დარბაზი. ვალიკო<br>მესამე მაყურებელს მიუტრიალდა. |

|                       |   |
|-----------------------|---|
| ვალიკო –              | უკაცრავად, უკაცრავად... (დარბაზს) ეხლავე<br>გეახლებით. (ვალიკო დარბაზიდან გავიდა).  |
| პირველი<br>მაყურებელი | (პარტერში მსხდომთ) – ეე რა ვნახე, კაცოუ! წელ-<br>ან კარებიდან რო შემოვარდნენ, ვიფიქრე,<br>ეგრეა საჭირო, მე რას მამატყუებენ-მეთქი,<br>მაგრამ, ახლო რო მოიდნენ აქა და ჩხუბი<br>დაიწყეს, ვიფიქრე, ერიჲა, აქა მგონი სხვა-<br>ნაირად არი-მეთქი საქმე! (ხელი ბატონი კავოსკენ<br>გაიშვირა) არადა, ეს შობელძალლი ისე ბრტყ-<br>ელ-ბრტყელადა ლაპარაკობდა, სუ იმასა<br>ვფიქრობდი, ცოტა მეც მესწავლა, რა მოხდე-<br>ბოდა-მეთქი?!   |
| ბ-ნი კაკო             | ბატონი კაკო ხელის მკვეთრი აწევით აჩუმებს პირველ<br>მაყურებელს.<br>(თითქოს გამოფხიზლებულა. დასაწყისში ნელა, მაგრამ<br>შემდეგ თანდათან ჩქარა ლაპარაკობს) – პატივცე-<br>მულო საზოგადოებავ, უპირველეს ყოვლისა,<br>უნდა შევთანხმდეთ: თანახმა ხართ თუ არა,<br>რომ აქ, სცენაზე, ეკიდოს უხილავი წარწერა<br>– „თეატრი ტაძარია!“ თუ ეს ფორმულა<br>თქვენთვისაც ისეთივე აპრიორია, როგორც<br>ჩემთვის, მაშინ მე ჩავთვლი, რომ შემიძლია<br>დამსწრე საზოგადოებას ვამცნო სიმართლე<br>და მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმარ-<br>თლის გარდა. ხოლო, თუ აქ დამსწრეთაგან<br>თუნდაც ერთი გამოჩნდება ისეთი, ვინც<br>ჩემს მიერ ნახსენებ აქსიომას არ ეთანხ-<br>მება, ვიმეორებ – თუნდაც ერთი, მაშინ მე<br>დავდუმდები, დავდუმდები და კი, ბატონო,<br>იცხოვრეთ უჩემოდ, ითამაშეთ სპექტაკლები,<br>იმღერეთ, იცეკვეთ და იმხიარულეთ, მაგრამ<br>– ჩემი ხელნერის გარეშე! დიახ, ჩემი ხელ-<br>წერის გარეშე!<br>ერთი მაინტერესებს, მერე როგორლა წახ- |

ვალთ გასტროლებზე?! როგორდა ნახავთ ვენეციასა თუ პარიზს?! ან, თუნდაც... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. უჩ-ემოდ თქვენ ხომ ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს დაკარგავთ; გრიმი რა არის, გრიმსაც აღარავინ გამოგიგზავნით, როცა გაიგებენ, რომ მე აღარ ვმუშაობ თქვენს თეატრში!

**ქ-ნი ციცო –**

**ბ-ნი კაკო**

ბატონო კაკო, არ დაგვლუპოთ!

(ჟუცებ დაწყარდა) – მაშ ასე, მეთანხმებით თუ არა, რომ „თეატრი ტაძარია?!“

მარცხენა კულისიდან ზალიკო ენერგიულად შემოდის სცენაზე.

**ზალიკო –**

მობრძანდით ქალბატონო, მობრძანდით!

ზალიკო ჭუჭუში ამოგანგლულ ქალბატონს შემოუძვა. ქალბატონს ფეხდაფეხ თერთმეტ-თორმეტი წლის გოგონა შემოჰყვა. ბავშვი იმდენადაა შეშინებული, რომ გაუბედავი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მოძრაობს. ვალიკო და გიოც გამოჩნდნენ. ქალბატონი ციცო ამოგანგლულ ქალბატონს ტაშისცემით მიეგება და პატივისცემის ნიშნად ავანსცენაზე მიიპატიუა. სცენაზე შემოსული ვალიკო და გიოც ტაშს უკრავენ.

**ზალიკო**

(პარტერისკენ) – ვინ მოიგონა?! მე მოვიგონე?! მაშ ეს ქალი მე მოვიგონე?! ან ეს ბავშვი აქ მე გავაჩინე?! აი, მთელი ამდენი ხანი არ დაგვისვენია, რომ ეს ქალი როგორმე ამოგვეყვანა და ზოგ-ზოგებმა კიდევ... მოიგონებთ ხოლმე რაღაცასო! (ამოგანგლულ ქალბატონს) უთხარით, ქალბატონო, უთხარით, მაშ ჩვენ ცოტა ვიშ-რომეთ?

**ამოგანგლული**

**ქალბატონი –**

რას ბრძანებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სული იხსენით... და, საერთოდ, ამხანაგებო, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ვდგავარ ის-ეთი პოპულარული ადამიანების გვერდით, აქ

რომ არიან წარმოდგენილნი. მაპატიეთ, რომ დღეს ასე გამოვიყურები, მაგრამ რა ვუყოთ, ბედმა ყველას, რაღაც გვარგუნა. აი, მე, მაგალითად, დღეს სცენაზე დამაყენა და თანაცვის გვერდით?! (სცენაზე ტაში გაისმა) გმადლობთ. დიდი მადლობა, ჩემო კარგებო! დიდი მადლობა!

ბატონი კაკო, რომელსაც სიტყვა შეაწყვეტინეს, ქალბატონ ციცოს ანიშნებს, გაყვანონ ამოგანგლული ქალბატონი. ქალბატონი ციცო ამოგანგლული ქალბატონის გაყვანას ლამობს, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს და ბატონ კაკოზე ანიშნებს.

### ამოგანგლული

#### ქალბატონი –

კი, ბატონო, მე ხელს არ შეგიშლით, მაგრამ იცით, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ერთი რამ გთხოვოთ, ოღონდ დამპირდით, რომ შემისრულებთ (ზალიკო, ვალიკო, გიო და ქალბატონი ციცო თავს უქნევენ და ჰპირდებიან).

იცით, მე სკოლაში ვმუშაობ და მომავალ თაობასთან მაქვს ურთიერთობა. მე ვიცი, რამდენად სჭირდებათ მათ ის სულიერი საზრდო, რომელსაც თითოეული ხელოვანთაგანი ატარებთ. ამიტომ მე მინდა გთხოვოთ, სულითა და გულით გთხოვოთ, რომ შეფობა იყისროთ ჩვენს სკოლაზე. მოგეხსენებათ, დღეს, როცა ჩვენს ირგვლივ ამდენი ძალადობა და სისასტიკეა გამეფებული, იმ სათუთ არსებას, რომელსაც ბავშვი ჰქვია, სჭირდება ამაღლებული საუბარი სხვადასხვა თემაზე...

იცით, ხანდახან ისეთ შეკითხვას დასვამენ ხოლმე, რომ ჰირდაპირ გაოცდებით.... ვიფიქრებ ხოლმე... (ქალბატონმა ციცომ რაღაცა წაუჩურჩულა ამოგანგლულ ქალბატონს) კარგით, კარგით, მაშინ მე ხელს ალარ შეგიშლით. ოღონდ, ჰირობა ჰირობაა. ხომ ასეა?!

მსახიობები თავს უქნევენ. გიო ამოგანგლულ ქალბატონ-სა და მის ქალიშვილს აცილებს. ბატონი კაკო, ქალბატო-ნი ციცო, ვალიკო და ზალიკო ტაშით აცილებენ. გასვლი-სას, ამოგანგლულმა ქალბატონმა თავი მოატრიალა და ყველას ბედნიერი ღიმილით დაემშვიდობა.

### ბ-ნი კაკო

(სრულიად გამოფხიზლებული, კვლავ პარტერს მიმარ-თავს) – აი, ხედავთ? (ხელს იმ ადგილისკენ იშვერს, საიდანაც ამოგანგლული ქალბატონი გავიდა). „თეატ-რი ცხოვრების სარკეა!“ დიას, დიას, თეატრი ცხოვრების სარკეც არის! წელან მე მოგახ-სენეთ, რომ „თეატრი ტაძარია!“ ...და, უცებ, თითქოს, იმპროვიზაციააო, თეატრიმა, ამ სცენამ, ვითარცა სარკემ, აირეკლა ის სურ-ვილები, რომელიც ცხოვრებაშია გაბნეული. ნახეთ, რა სათუთი გრძნობები ამოძრავებდა იმ ქალბატონს? სად და ვისი მეშვეობით შეუ-ძლია დაიკმაყოფილოს მან ეს გრძნობები?.. მხოლოდ აქ, ჩვენთან, ტაძარში! ღმერთია მოწმე, ჩვენ ეს არ დაგვიდგამს, არ გვითა-მაშია. თითქოს იმპროვიზაციააო, ცხოვრების ქარტეხილმა შემოაგდო ეს ქალბატონი სცენაზე!.. შემოაგდო დასტურად ჩემი სი-ტყვებისა: – „თეატრი ტაძარია!“

ქალბატონმა ციცომ, ვალიკომ, ზალიკომ და სცენაზე და-ბრუნებულმა გიომ ტაში დაუკრეს, მაგრამ ბატონი კაკოს ხელის ანევისთანავე გაჩერდნენ. ბატონ კაკოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ერთ-ერთ მაყურებელს სიცილი წასკდა.

– რაშია საქმე? ვინ იცინის? (სიცილი არ წყდება). როგორ, განა ის, რაც ამ ქალბატონს დაე-მართა, სასაცილოა? მის ადგილზე ხომ წები-სმიერი ჩვენთაგანი შეიძლებოდა აღმოჩენილ-იყო? (სიცილი კვლავ არ წყდება).

აბრძანდით, ჩემო ბატონო, აბრძანდით და მიპასუხეთ: – თქვენ რომ ჩავარდნილიყავით,

მაშინაც ასე იცინებდით?! (სიცილს ისტერიული ელფერი ეფება, მაგრამ ეტყობა, რომ მოცინარი პირზე ხელის მიფარებით ცდილობს თავის შეკავებას).

იქნებ მე ვთქვი აქ რამე სასაცილო?! (სიცილი კვლავ არ წყდება)

რომელი ხარ მანდ?! ადექი ფეხზე!.. ვის ვეუ-ბნები მე?!?

(პარტერში მყოფ დანარჩენ პრეტენდენტებს მიმართავს) რომელი იცინის მანდ?! მიდით და ააბრძანეთ ეგ ვაჟბატონი!

ერთ-ერთი პრეტენდენტი, რომელიც ბატონი კაკოს ბრძანების მიღებამდე უკვე ათვალიერებდა პარტერის უკანა რიგში მსხლომთ, მოცინარი მაყურებლისკენ თითს გაიშვერს.

მესამე

**პრეტენდენტი – შენ... ჩვენი ძმა!**

თავჩარგული და სახეზე ხელებაფარებული მოცინარი კვლავ იცინის. მესამე პრეტენდენტმა მოურიდებლად გაიარა მაყურებლის ნინ, მოუახლოვდა მოცინარს, მკლავში ხელი მოპკიდა და ფეხზე წამოდგომა აიძულა.

მესამე

**პრეტენდენტი – შენ რო გეუბნებიან, არ უნდა გაიგო?**

გამოიყვანე მაქედან, გამოიყვანე!

მესამე პრეტენდენტმა მაჯვაში ჩაავლო ხელი და გამოიყვანა მოცინარი მაყურებელი, რომელსაც ცალი ხელი სახეზე აქვს აფარებული და არაბუნებრივი, უცნაური სიცილით იცინის.

**ბ-ნი კაკო –**

აქ ამომიყვანე და ვნახავ ერთი, ბოლოს ვინ გაიცინებს!

სცენისკენ წაყვანილმა მოცინარმა არც ხელი გააშვებინა მესამე პრეტენდენტს და არც სიცილი შეწყვიტა.

**ქ-ნი ციცო –**

ღმერთო ჩემო, ეს ხომ ვახტანგია?!

**ბ-ნი კაკო –**

ვახტანგი ვინდაა?

**ქ-ნი ციცო –**

ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი.

**ბ-ნი კაკო –**

ს უმა მოქნო საიტი!

მესამე პრეტენდენტმა მოცინარი ბატონ კაკოს მიჰ-  
გვარა და პარტერში დაბრუნდა. მსახიობებმა ერთმანეთს  
გადახედეს და აწრიალდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ  
გაბედა ვახტანგთან მიახლოება. ქეთინო დაძაბული და  
კუშტი სახით უყურებს მოცინარ ვახტანგს.

### ბ-ნი კაკო

(მსახიობებს) – ვოტ ავანტიურისტ, აა?!  
ონ ვედ ნა პუბლიკე იგრაეტ! ონ ვედ ხოჩეტ  
პრივლეჩ ვნიმანიე; ჩტო, მოლ, ვოტ ზდეს, ვ  
ზალე სიდიტ ტოტ გენიი, კატორიი პასტავილ  
ნინე პრერვანი სპეკტაკლ!

ჲა?! როგორია?!

ვოტ, ნე აჟიდალ, აა! ტაკოვო, ნიკაკ ნე აჟი-  
დალ!

(ვახტანგს) რა ვქნათ ეხლა?! ასე, გიჟივით ვი-  
ცინოთ?! ხელს არ ჩამოილებთ და თქვენს  
„მწყაზარ“ სახეს არ გვიჩვენებთ?!

ბატონმა კაკომ სახეზე მიფარებული ხელი ჩამოაშვებინა  
ვახტანგს. მან მეორე ხელი აიფარა, მაგრამ ბატონმა კა-  
კომ მეორე ხელიც ჩამოაშვებინა და ორივე ხელი დაუჭი-  
რა. დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ვახტანგი, თავის  
ასაკსა და აგებულებასთან შეუფერებელი სახით იმანჭე-  
ბა. გაუგებარია, ტირის, იცინის თუ ტკივილს განიცდის.  
ბატონი კაკო შეცბა.

### ბ-ნი კაკო –

რას ჰეგავს ეს?! რა ხდება თქვენს თავს?! სადა  
გგონიათ თქვენი თავი?! (ბატონმა კაკომ ვახტანგს  
ხელი გაუშვა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია) ბოლოს  
და ბოლოს, გაგვაგებინეთ, რაშია საქმე?!

ვახტანგმა სახეზე ორივე ხელი მიიფარა, წელში მოიხარა  
და რამდენჯერმე ისე ჩაისუნთქა ჰაერი, თითქოს სლუ-  
კუნს იკავებსო; შემდეგ შეჩერდა, ხელები ნელა ჩამოუშვა,  
წელში გაიმართა და თვალები ჭერს მიაპყრო; მოეშვა და  
დარცხვენილივით ძირს დაიხედა.

### ბ-ნი კაკო –

გაგვაგებინეთ, რა ხდება თქვენს თავს?!  
სცენაზე მყოფთ ეჯიბრებით მსახიობის ოს-  
ტატობაში, თუ რაშია საქმე?! აა?!

- ვახტანგი** (მაყურებელს მიმართავს) – მე... მინდა, რომ ბოდიში მოგიხადოთ... ეს... ჩემდაუნებურად მოხდა. ... არ ვიცი, რატომ დამემართა. მე, როგორც დღე-ვანდელი სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს, მინდოდა ბოლომდე ჩუმად ვყოფილიყავი; თუმცა, როგორც მოქალაქეს, მინდოდა მოვლენათა განვითარებისთვის ხელი შემეშალა... მაგრამ შემდეგ ეს სისულელე დამემართა. იცით... პროფესიად რეჟისორობა... ხოლო კონკრეტულად, თეატრის რეჟისორობა, იმიტომ ავირჩიე, რომ ადამიანებთან ერთად ადამიანებისთვის ხელოვნებით მეცხოვრა. დღეს დანიშნული სპექტაკლის პრემიერის შემდეგ თითქმის ყველა წარმოდგენას ვესწრებოდი და იმ განუმეორებელით ვცხოვრობდი, რომელიც სცენაზე მყოფთა და მაყურებელთა შორის ყოველ სპექტაკლზე სხვადასხვაა... საყვარელო, ეს... სენტიმენტალური ისტორია, კიდევ დიდხანს გაგრძელდება? დღეს დამთავრდა.
- ვახტანგი** – ... და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამაში ბრალს მე მდებთ, ხომ? (ვახტანგი არ პასუხობს). გასაგებია!
- ბ-ნი კაკო** – მომიტანეთ სკამი!
- ქ-ნი ციცო** – თქვენს უკან დგას.
- ბ-ნი კაკო** – კიდევ ერთი!
- ქ-ნი ციცო** – მიუხედავად იმისა, რომ ქეთინოს გარდა დანარჩენები უკვე სკამებზე მოკალათებულიყვნენ, ადგილიდან არავინ დაძრულა. ბატონშა კაკომ ეს არ შეიმჩნია, აიღო თავისი პიჯაკი და სკამი ვახტანგს დაუდგა. ვახტანგმა მოიხედა და როცა დაინახა, რომ მხოლოდ ქეთინო იდგა ფეხზე, სკამი მას დაუდგა. ქალბატონი ციცო წამოხტა და თავისი სკამი ბატონ კაკოს მიურბენინა.
- ბ-ნი კაკო** – გმადლობთ, ქალბატონო ციცო, მაგრამ,

რადგან ბატონ ვახტანგს დღეს მძიმე დღე აქვს, თქვენის ნებართვით მას დავუთმობ.

ქალბატონმა ციცომ გაჟუტული გოგოს სახე მიიღო, პიჯაკი ჩამოართვა და ტახტზე ღიმილით ჩამოვდა. ბატონმა კაცომ ვახტანგს დაუდგა სკამი და მხარზე ხელის დაკვრით დასვა.

**ბ-ნი კაკო –**

მაშ, ასე! სიტყვებად ვაქციოთ ის, რა მიზანსაც თქვენ ამ ეტაპზე მიაღწიეთ: პირველი – თქვენ დამსწრე საზოგადოებას თქვენი აქ ყოფნა ამცნეთ; მეორე – თქვენ დამსწრე საზოგადოებას ტრაგიკულ პიროვნებად წარმოუდექით; მესამე – თქვენ დამადანაშაულეთ თქვენი იდეალების მსხვრევაში...

მე ასე არ მითქვამს.

მოითმინეთ, მოითმინეთ!

რადგან ჩვენს საუბარს არა მარტო მსახიობები, არამედ მაყურებელიც ესწრება, მოდით, ნუ დაწვრილმანდებით და ნუ დამაკარგვინებთ დროს ისეთი სისულელეების მტკიცებაში, როგორიცაა: „დიახ, თქვენ მე დამადანაშაულეთ თქვენი იდეალების მსხვრევაში მარჯვენა ან მარცხენა წარბის აწევითა თუ დაწევით და, ამა თუ იმ სიტყვის თქმითა თუ არ თქმით!“

არ გვინდა!

მოდით... გნებავთ... გამორჩეულ დღედ ვაქციოთ ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში! მოდით, სრული სიმართლე ვილაპარაკოთ, სრული, შიშველი, ღია სიმართლე!

მე მხოლოდ ასე მინდა ცხოვრება.

ოჳ, რა ადვილად დამთანხმდით...

მაგრამ, თქვენც იქნებით გულწრფელი?

მხოლოდ და მხოლოდ! მხოლოდ გულწრფელი!

... და გაფრთხილებთ, თუ რამეში ტყუუილს შეგატყობთ, მაშინვე შევწყვეტ თქვენთან

**ვახტანგი –**

**ბ-ნი კაკო –**

**ვახტანგი –**

**ბ-ნი კაკო –**

**ვახტანგი –**

**ბ-ნი კაკო –**

|             |  |
|-------------|--|
|             | საუბარს.   |
| ვახტანგი –  | მაშ, ასე! დავიწყოთ!  |
| ბ-ნი კაკო – | ჩემო, ბატონო ვახტანგ, მიგაჩნიათ თუ არა,<br>რომ თეატრიდან გასულ მაყურებელს სიცარ-<br>იელის გრძნობა არ უნდა გაჰყვეს?   |
| ვახტანგი –  | მიმაჩნია, რომ არ უნდა გაჰყვეს.   |
| ბ-ნი კაკო – | ... და, როგორ გონიათ, მათთვის, თქვენი<br>დადგმული სპექტაკლი უფრო სისხლსავსე<br>იქნებოდა თუ ისე წარმართული საღამო, რო-<br>გორც ის ამჟამად მიმდინარეობს? (პაუზა) რა-<br>ტომ სდემხართ?                        |
| ვახტანგი –  | საკითხი სხვანირად დგას.  |
| ბ-ნი კაკო – | როგორ დგას, ჩემო ბატონო?! როგორ?!  |
| ვახტანგი –  | ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა რატომ<br>უნდა მისცეს თავის თავს იმის უფლება, რომ<br>ძალადობის საშუალებით ისე შეცვალოს სხვა<br>ადამიანთა ცხოვრება, როგორც თვითონ<br>მოესურვება?                               |
| ბ-ნი კაკო – | გიპასუხებთ.  |
| ვახტანგი –  | მე იმედი მაქვს, თვითონ არ დაწვრილმანდე-<br>ბით და არ მეტყვით, რომ თუკი ვინმეს მაღა-<br>ლი იდეალების დამკვიდრება სურს, მაშინ<br>უფლება აქვს ძალადობისაო.  |
| ბ-ნი კაკო – | პაუზა.   |
| ვახტანგი –  | მასე რომ გიპასუხოთ?  |
|             | მაშინ გეტყვით: თვით მექობრებიც კი, სა-<br>კუთარ ზრახვათა გასამართლებლად, „დიადი<br>იდეალების“ დამკვიდრებაზე იწყებენ საუ-<br>ბარს.  |
|             | <b>სიჩუმე.</b>   |
|             | პიესა, რომელიც დღეს უნდა წარმოდგე-<br>ნილიყო, დრამაა. დრამა, ჩვენი სამშობლოს<br>ამჟამინდელი ბედის შესახებ. მაგრამ თქვენ,<br>ძალადობით შემოჭრილზა ადამიანმა, ჩვენი<br>ბედის ნაცვლად თქვენი „იმპროვიზაციები“ |

შემოგვთავაზეთ.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, ეს რა იყო: იმ-პროვიზირებული ფარსი? კომედია? ტრაგე-დია? იქნებ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეო-ტრაგედია, რადგან, დღევანდელი ტრაგედია მხოლოდ სცენით არ შემოფარგლულა, მან მაყურებელიც ჩაითრია, მაყურებელსაც მი-აღებინა მონაწილეობა იმაში, რაც თქვენ ჩაი-დინეთ.

მე არა ვარ სხვა ქვეყნიდან მოსული; ვიცი, რომელი ქვეყნის შეილიც ვარ და დღევან-დელ დღემდე მიმართდა, რომ მეტ-ნაკლებად ვიცნობდი იმ საზოგადოებას, რომელშიც გავიზარდე. მაგრამ ის რეაქცია, რაც დღე-ვანდელ მაყურებელს მისთვის დადგმული სპექტაკლის დამანგრეველის მიმართ, თქვენს მიმართ, ჰქონდა, იმდენად მოულოდნელია, რომ მხოლოდ ერთ გზას მიტოვებს – გზას უდაბნოსკენ.

### ბ-ნი კაკო

(იცინის) – სულ რაღაც ორიოდ სიტყვა სთქ-ვით და რაოდენ დიდი უცოდინარობა გამოამ-უდავნეთ.

ჩემო უმცროსო კოლეგა, (ჩაეცინა) „კოლეგა“, ... არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს მაყურებ-ლის გულის მოგებას ვცდილობდე, მაგრამ... მაყურებელი ნამდვილად არაფერ შუაშია. მაყურებელი ყველა ქვეყანაში ერთნაირია. ეს არის მდგომარეობა, როცა შენი ნებით გადახდილი ბილეთის საფასურად, თვითონ მეტ-ნაკლებად პასიურ მდგომარეობაში მყო-ფი, აქტიურ, სულიერ თუ ფიზიკურ სანახაო-ბას ითხოვ. დღევანდელი მაყურებელიც ამას ითხოვდა. ... და თუ ჩემს გამოცდილებას ენ-დობით, ჩემი მოსვლის მერე მან ეს მიიღო. ჯერ კიდევ საკითხავია, თუ რა მიიღო.

### ვახტანგი –

დღევანდელი მაყურებელი ჩვენს სპექტაკლზე დასასწრებად მოვიდა და წინასწარ, თავისი სიცოცხლის გარკვეული საათებიც ჩვენ მოგვანდო. ამის შემდეგ შემოიჭრით თქვენ და ცემა-ტყეპა ატეხეთ. ასეთი რამის მომსწრე მაყურებელი რა ხელოვნების მხილველი უნდა გამხდარიყო?

**ბ-ნი კაკო –**

კარგი შეკითხვაა. გიპასუხებთ.

რა ხელოვნების და... ნაცვლად თქვენი პროვინციული სიუჟეტისა, ის ჩემი იმპროვიზირებული სიუჟეტის მომსწრე გახდა.

**ვახტანგი –**

რატომლაც მგონია, რომ ძლიერ სახელმწიფოში დადგმულ პატრიოტულ სპექტაკლს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამთ, ხოლო...

**ბ-ნი კაკო**

(შეაწყვეტინა) ცდებით. დღეს, ასეთ პიესებს არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში აღარ დგამენ.

**ვახტანგი –**

იმიტომ, რომ ჩვენნაირი საფრთხის წინაშე, საკუთარი სახელმწიფოს გაქრობის საფრთხის წინაშე, არა დგანან. მაგრამ მიუხედავად ამისა, აბა, გაიხსენეთ რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს დროშა. გაიხსენეთ ის თვალშისაცემი პატივისცემა, რაც ამა თუ იმ სახელმწიფოში საკუთარი დროშის მიმართ აქვთ. გაიხსენეთ, ჩვენი თვალთახედვის არეშიც კი რამდენჯერ მოხვედრილა მათი დროშა? სულ უბრალო საგნებიდან დაწყებული – თითქმის ნებისმიერი მოვლენით დამთავრებული – ყველგან ჩანს მათი დროშა, ყველაფერშია მათი დროშა, ყველაფერს ამშვენებს მათი დროშა. რატომ? იმიტომ, რომ საკუთარი დროშის განუწყვეტელი ფრიალი პატრიოტიზმის, როგორც სახელმწიფოს ხერხემლის, მუდმივი შეხსენებაა; თქვენ კი მოდიხართ და საკუთარი სახელმწიფოს სიყვარულს მხო-

ლოდ „ფსიქო-ფიზიკურითა“ და მხოლოდ „ფსიქო-ქვეცნობიერ-სექსუალურით“ გვიცვლით, რისი გაცნობიერებაც არც ერთი ნორმალური ადამიანისთვის არ არის მიუღებელი, მაგრამ როცა „ფსიქო-ქვეცნობიერ-სექსუალურს“ გვაჩეჩებთ და ეროვნულს კი გვიფუჩეჩებთ, მხოლოდ ისლა მრჩება ვიფიქრო, რომ ეს პირადად თქვენი პროვინციული შეგნებიდან მომდინარეობს.

**ბ-ნი კაკო –**

**ვახტანგი –**

**ბ-ნი კაკო –**

ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა!

თქვენ იცინით და არ გენალვლებათ, რომ ქაოსი, რომელსაც თქვენ იმპროვიზაციას უწოდებთ, არა მხოლოდ ფიზიოლოგიურს, არამედ მოუწესრიგებელ ფიზიოლოგიურს ბადებს – თუკი შეიძლება ასე თქმა.

იცით, რას გეტყვით? ადამიანი თვითონ არის „მოუწესრიგებელი ფიზიოლოგიური“, რადგან მას ბუნების მიერ ბოძებულ მოწესრიგებულ ფიზიოლოგიაში ისეთი ქაოსი და იმდენი არევ-დარევა შეაქვს, რომ მისი ფიზიოლოგიაც მოუწესრიგებელი ხდება. ასე რომ, მე ნურაფერს დამაბრალებთ. როცა მე და თქვენ დავიბადეთ, ჩვენ უკვე დაგვხვდა ქაოსი. თქვენც, მეც, ყველა აქ მსხდომიც უკვე ატარებს ქაოსს! ვერავინ იტყვის, რომ ის, გამოგონილი ვიღაც ფრანცისკო ასიზელია!

როგორ ფიქრობთ, დარბაზში მყოფი ნებისმიერი ახლადნამოღერებული გოგოცუნასთვის რა უფრო ახლობელია?! – მისივე ფიზიოლოგია და არა ორაციონალური თემები! ნებისმიერი სქესისა და ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის რა უფრო ახლობელია?! – მათივე ფიზიოლოგია, რომელშიც უკვე ქაოსია! სულიერი გაუწონასწორებლობისა და გაურკვევლობის გამო აღძრული ქაოსი!

რა, იქნებ ის დაიპრალოთ, რომ ჩემი პატრი-ოტული თემებით ამ ზოგადკაცობრიულ სენს ვუმქურნალებო? – ვერ დაიპრალებთ!

ამიტომ აღარ აქცევენ ყურადღებას ნორმალურ სახელმწიფოებში ისეთ თემას, როგორიცაა პატრიოტიზმი, რასაც მე ფაშიზმს ვუწოდებ!

მაშ, თქვენ რა გევალებათ? ანუ ჩვენი პროფესიის ადამიანებს რა გვევალება? – ვიტრიალოთ ამ ქაოსში! ვიმოქმედოთ ამ ქაოსში! მივყიდოთ სცენიდან ხალხს მისთვის ესოდენ ნაცნობი ქაოსი, მაგრამ ჩვენს მიერ სახეცვლილი ქაოსი, მეტ-ნაკლებად ტკბილი და მეტ-ნაკლებად მწარე, ეპოქისა და მოდის, პოლიტიკისა და საჭიროების მიხედვით.

მე გულახდილობას დაგპირდით და ჩემს სიტყვას ვასრულებ. დააფასეთ ეს!

**ვახტანგი –**

დღევანდელი თქვენი „იმპროვიზაციებიდან“ რა გაჰყვება მაყურებელს?

**ბ-ნი კაკო –**

არაფერი! არც თქვენი დადგმულიდან და არც ჩემი იმპროვიზაციებიდან თეატრიდან გასულ მაყურებელს რამდენიმე წუთში აღარაფერი დარჩება! გამონაკლისს ნარმოადგენს მხოლოდ ავადმყოფურად მოქარბებული ფანტაზისა და ემოციის ზოგიერთი მაყურებელი, რომელსაც მიღებული შთაბეჭდილება შეიძლება ცოტა დიდხანს გაჰყვეს. სამწუხაროდ, ასეთია მათი ბუნება. სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ გვეკუთვნის მაყურებლის სული და გული, როცა ის ჩვენთან არის, თორემ მერე მორჩა, გათავდა, გაფრინდა! სამყარო დიდია და ადამიანთა ყურადღება უკვე სხვა რამეზე გადადის.

ამიტომ მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ ქაოსი, რომელსაც ჩვენ შევთავაზებთ, ინდივიდუ-

ალიზებული იყოს! მას ჩვენი ხელწერა, ჩვენი დამლა, რაც შეიძლება ღრმად უნდა აჯდეს, რათა მაყურებელს დიდხანს ახსოვდეს ჩვენი დადგმული სპექტაკლი!

### ვახტანგი –

მაშინ ნება მომეცით, გაკადროთ: – მაყურებლის მიმართ გამოთქმული თქვენი „გულისტკივილი“ იქნებ ეგოიზმის ნაირსახეობაა? იმ ეგოისტური სურვილით გამოწვეული, რომლითაც გსურთ, რომ მხოლოდ თქვენი სპექტაკლებიდან მიღებული შთაბეჭდილებებით იცხოვრონ, მხოლოდ ის სურათ-ხატები ედგათ თვალნინ, მხოლოდ იმ აზრებით სულდგმულობდნენ, რომელსაც თქვენ შესთავაზებთ, რაც, თავისთავად, შენიდბული ძალადობაა. ხელოვნება „საკუთარი ხელწერითა“ და ქაოსით ადამიანების დადალვა არ არის. ხელოვნება...

### ბ-ნი კაკო

(შეაწყეტინა) – საკმარისია!!

თქვენ იმდენად თავხედი აღმოჩნდით, რომ გადაწყვიტეთ კაკო გელეყვას შავ კაცად წარმოჩენა! თქვენ, – გუშინ გამომცხვარმა რეჟისორმა!

მაშ, მომისმინეთ! მომისმინეთ და დაიმახსოვრეთ! პირველი: იმავ წამს, როდესაც თეატრიდან გასულ მაყურებელს შეცივდება, ის იტყვის: „აუ, დაუბერა, ხო იცი!“ იმავ წამს, როდესაც თეატრიდან გასულ მაყურებელს დაცხება, ის იტყვის: „კიდევ ცხელა, კაცო?“ თქვენი პატრიოტული სპექტაკლიდან კი სულ მალე აღარაფერი დარჩება! მეორე: ხედავთ ამ მაყურებელს? ფსევდოინტელექტუალურ საუბარში თქვენ მე ის დამაკარგინეთ, ის მე გამექცა, ის სცენას გაექცა, აზრით ის უკვე სხვაგან არის, ის უკვე თავის პირად პრობლემებზე ფიქრობს: თავის შესაკეთებელ ავტომანქანაზე, თავის გასარეცხ საცვლე-

ბზე. რატომ? – იმიტომ, რომ მას მოსწყინდა ლაქლაქის მოსმენა! იმიტომ, რომ მას სანახაობა მოაკლდა! თქვენის წყალობით დრო, მაყურებლის დრო, ტრანსპორტით თეატრში მოსვლისა და სახლში წასვლის ჩათვლით, თქვენის წყალობით მან დაკარგა! არადა, ამ დროის შესავსებად მან ფული გადაიხადა!

რას ერჩოდით მას და რას გვერჩოდით ჩვენ?! თქვენს აქ გამოჩენამდე მაყურებელს არ მოუწყენია! ჩვენ მის „დროს“ იმპროვიზაციებით ვკლავდით! მართალია, ზოგიერთ საკითხში ზოგიერთი მაყურებელი არ დაგვეთანხმა, მაგრამ მე მთელი დარბაზი აი ამ მარჯვენაში მყავდა აყვანილი, მომხრენიცა და არამომხრენიც აქ, თეატრში, ჩემთან იყვნენ და განიცდიდნენ იმას, რაც მე, ჭეშმარიტ რეჟისორს, მსურდა!

ამიტომ შემოჭრილი და დამნაშავე მე კი არა, თქვენა ხართ!

გაეთრიე აქედან!!

თუმცადა, არა! არა! (ბატონი კაკო მარცხენა კულისისკენ იწყებს უკან დახევას).

„ჯერ შეიცადეთ;

ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა:

მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის გამინევია სამსახური, – თითონც იციან; მაგრამ ამაზედ არას ვამბობ“.

აი, იმას კი მოგახსენებთ:

„რომ როცა ერთხელ ალეპოში ოსმალი ვინმე, თავს რიდე-დგმული, სიამაყით გულზედ მოსული

ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერის სიტყვით აგინებდა, – მივწვდი მე ყელში

იმ ქოფაკ ძალლსა წინდაცვეთილს და დავკალ  
ასე...“

ბატონი კაკო მარცხენა კულისში გაუჩინარდა, მაგრამ  
წამის შემდეგ სახანძრო ბარჯით ხელში გამოვარდა და  
ვახტანგისაკენ გაიქცა.

**ბ-ნი კაკო –**

ვახტანგმა მოასწორო განზე გახტომა; ბარჯი სკამში ჩაერ-  
ჭო; ბატონ კაკოს ბარჯისოთვის ხელი არ გაუშვია; ამოაძ-  
რო სკამიდან და ახლა მოკაუჭებული წვეტი მოუქნია  
გვერდზე გამხტარ ვახტანგს, რომელმაც კვლავ აიცდინა.  
რატომ გამირბისხართ?! მეორე ლოყას რატომ  
არ მიშვერთ?! რადგან მე მოძალადე ვარ და  
თქვენ კი ჩემზე უკეთესი გგონიათ თავი, იყა-  
ვით ისეთი ქრისტიანი მოძალადეს წინააღმ-  
დეგობას რომ არ უწევს და მომეცით საშუ-  
ალება, რომ მოგვლათ! ააააააა!!

სახანძრო ბარჯით მომარჯვებული ბატონი კაკო ვახტან-  
გისაკენ კვლავ გაექანა. ვახტანგი პარტერში ჩახტა. ბა-  
ტონი კაკოც ჩახტა, მაგრამ როცა ვახტანგი გასასვლელ-  
იდან გაიქცა და ზურგს უკან კარი მოიჯახუნა, ის კარი,  
რომლიდანაც სპექტაკლის დასაწყისში ბატონ კაკოს  
უნდოდა შემოჭრა, ამ უკანასკნელმა ხარხარი დაიწყო და  
სცენაზე აბრუნდა.

**ბ-ნი კაკო –**

ყველას ეშინია ბუნების შვილის; ოტელო კი  
ბუნების შვილია და არა ბიბლიოთეკაში გაზ-  
რდილი არამზადა.

**ქ-ნი ციცო –**

ხომ არ გაითვლეთ?

ბატონი კაკო გაჩერდა; გალიმებული უყურებს ქალბატონ  
ციცოს. ქალბატონმა ციცომ სახანძრო ბარჯის რამდენ-  
ჯერმე მოუცაცუნა თითო.

**ქ-ნი ციცო –**

ღმერთო ჩემო, რა ემოციური ხართ!

ბატონმა კაკომ პარტერის გასასვლელებში მიმოფან-  
ტულ იარაღმომარჯვებულ პრეტენდენტებს მიმართა.

**ბ-ნი კაკო –**

მე ვგრძნობ, რომ ის ვერ მოისვენებს და  
სადმე აქ იტრიალებს. ყველგან დაძებნეთ და

|                         |   |
|-------------------------|---|
|                         | ყურით მომითრიეთ.  |
| ვალიკო –<br>ბ-ნი კაკო – | მე მოვაძებნინებ! მე ვიცი, სადაც იქნება!<br>კარგი... მაშინ, მიდი მაგ კრეტინთან და რო-<br>გორმე დააჯერე: – მაყურებელი ითხოვს შენს<br>დაბრუნებას-თქო და ამ კარებამდე მომი-<br>ყვანე.   |
| ვალიკო –<br>ბ-ნი კაკო – | კი, ბატონო! (ვალიკო რამდენიმე პრეტენდენტთან<br>ერთად პარტერიდან ჩქარი ნაბიჯით გადის).   |
| ქ-ნი ციცო               | ციცო, პიჯაკი მომიტანე!  |
| ბ-ნი კაკო               | გიო უცებ მოსწყდა ადგილს და პიჯაკის მოსატანად გაი-<br>ქცა, მაგრამ მას ქალბატონი ციცო სწვდა და შეაჩერა.<br>(გომ) – სხვათა შორის, მე მთხოვა, რომ<br>მიმეტანა...  |
| ბ-ნი კაკო               | ზალიკომ შეჩერებული მსახიობების გვერდით ჩაიქროლა<br>და პიჯაკი ბატონ კაკოს მიურბნინა.   |
| ბ-ნი კაკო               | (პიჯაკს იცვამს და მაყურებელს მიმართავს) – თქვენ<br>განსაკუთრებული მაყურებელი ხართ. თქვენ<br>მიეკუთვნებით იმ გამონაკლის მაყურებელ-<br>თა რიცხვს, რომელთაც წილად ხვდათ ბედ-<br>ნიერება ცოცხლად ენახათ ის იმპროვიზაცია,<br>ჭეშმარიტი თეატრალი რომ ქმნის თავისი<br>ერის სამსახურში. აი დღესაც, მე თქვენს<br>თვალწინ იმპროვიზირებულად ვქმნიდი იმას,<br>რასაც ჭეშმარიტი თეატრალური ცხოვრება<br>ჰქვია!                         |
|                         | საკუთარი თავის ქებად ნუ ჩამითვლით, მა-<br>გრამ ფაქტია, რომ იმ ქალაქებში, სადაც მე<br>სპექტაკლები დამიდგამს, უპირველეს ყოვ-<br>ლისა, სვამდნენ კითხვას: – „საიდან ეს იუმო-<br>რი?“ „საიდან ეს სილალე?“, საიდან ეს დიდი<br>ნიჭი იმპროვიზაციისა, რასაც ეს ადამიანი,<br>პანია კუთხის შვილი, ვითარცა კაცობრიულ<br>გონებას, ვითარცა კაცობრიულ სიბრძნეს,<br>თავის მხრებზე ატარებსო?!”<br>ასე რომ, ფაქტია, მე საზღვარგარეთ მალი- |

არეს! ეს მაძლევს უფლებას, რომ თამამად ვთქვა: – მხოლოდ მე შემიძლია ამ თეატრის აღზევება! მხოლოდ მე შემიძლია, რომ ყველა აქ მყოფი მყავდეთ დაკავებული: ვინ – თამაშით და ვინ – თამაშის ცეკვით! ცივილიზებული თეატრალური სამყაროსათვის თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებით საინტერესო ობიექტი, როცა თქვენი თეატრის ხელმძღვანელი მე ვიქნები!

აირჩიოთ!! ნება თქვენია!!

პარტერის კარი ხმაურით გაიღო და ვალიკო შემოვიდა.

### ვალიკო ბ-ნი კაკო

(ბატონ კაკოს) – მოვიყვანე! აქ არის!

(მაყურებელს) – თქვენ ისტორიული არჩევანის წინაშე დგახართ! თქვენ უნდა აირჩიოთ ჩემსა და იმ ვითომდა რეჟისორს შორის, რომლის სახელის ხსენებაც არ მინდა, რათა ვინმემ რამე სუბიექტურობაში არ ჩამომართვას! ყველაფერი ობიექტურად და დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს, მაგრამ ერთი პირობით: – ჩვენ არეულობის უფლებას არ მოგცემთ! (ვალიკოს) ბატონო ვადლიკო, სთხოვეთ ბატონ ვახტანგს, რომ შემოვიდეს!

### ვალიკო

(პარტერში შემოსასვლელ კართან დაბრუნდა) – მობრძანდით, ბატონო ვახტანგ!

იარაღასხმულმა პრეტენდენტებმა ხელები გაკავებული და პირახვეული ვახტანგი პარტერში შემოიყვანეს, სადაც ტაში გაისმა.

### ბ-ნი კაკო

(მაყურებელს) – ვიმეორებ: – ჩვენ, არეულობის უფლებას არ მოგცემთ!

პარტერში მომიფანტულმა პრეტენდენტებმა ავტომატები მარდად მოიმარჯვეს. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ბატონმა კაკომ ვახტანგს მიმართა.

### ბ-ნი კაკო –

ბრიყვო, შენ მართლა დაიჯერე, რომ მაყ-

ურებელს უნდიხარ? ხომ ხედავ, რომ ყველა  
გზულივით წყნარად ზის და შენს გარდა ამ  
თეატრში არავის არ უნდა არეულობა?

რას გადაგვეკიდე, კაცო?! ნუთუ ამ თეატ-  
რმა შენგან ერთხელ და სამუდამოდ არ უნდა  
დაისვენოს?! (მაყურებელს) რა გახდა, კაცო, ეს  
კაცი?! ვერ უნდა ამოვისუნთქოთ უამისოდ?!  
ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიამ საკუთარი  
თავი არ უნდა დაიცვას?! (ბატონი კაკო სკამზე  
ჩამოჯდა, ცალი ხელი შუბლზე მიიღო და იმავე ხელის  
იდაყვით მუხლს დაეყრდნო. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა  
და იმ პრეტენდენტებს მიმართა, რომელთაც ვახტანგი  
ჰყავდათ გაკავებული)

არა, არა! მე იძულებული ვარ, რომ ხალხის  
გულის ამოძახილს ანგარიში გავუნი! მორ-  
ჩა, დემოკრატიამ ჩვენი მაყურებელი ამ კა-  
ცის ფაშიზმისაგან უნდა დაიხსნას!

მიეცით ბრალდებულს საბოლოო სიტყვის  
უფლება!

**ვალიკო –**

მე! მე მოვხსნი თუ შეიძლება?!

**ვახტანგი –** ვალიკომ პირახვეული ვახტანგი გაათავისუფლა.

**გახტანგი –** ბ-ნი კაკო

ლმერთმა ადამიანს თავისუფლება მისცა და...  
(შეაწყვეტინა) – ეგ კიდევ საკითხავია, ადამიანს  
ლმერთმა მისცა თავისუფლება, თუ ადამიან-  
მა თვითონ მოიპოვა თავისუფლება!

**ვახტანგი –**

კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის არსე-  
ბობა ადამიანს პირველად ლმერთმა გააგები-  
ნა და მხოლოდ გააფრთხილა! ადამიანისთვის  
ლმერთს არაფერი დაუძალებია! ამით მან ეშ-  
მაკის ძლევის საშუალებაც მოგვცა და ცოდ-  
ვად დაცემის თავისუფლებაც მოგვანიჭა!  
ლმერთმა!!

თქვენ?! თქვენ ვინა ხართ, რომ ადამიანებზე  
იარაღითა და ძალადობით ახდენთ გავლე-  
ნას?!

- ბ-ნი კაკო –** მე ის ვარ, ვინც ფაშიზმს ებრძვის!
- ვახტანგი –** თქვენს მიერვე გამოგონილს! რეალურად კი, ფაშიზმის დამკვიდრებას თვითონ ცდილობთ!
- ბ-ნი კაკო –** როგორ მიბეჭავ?! შენ აქ იმისთვის მოეთრიე, რომ მე გამასამართლო?! (ბატონმა კაკომ ბარჯი მოიმარჯვა. ვახტანგი პრეტენდენტებს ხელიდან დაუსხალტა და პარტერის მეორე გასასვლელიდან გაიქცა. პრეტენდენტები მყისვე დაედევნენ)
- ბ-ნი კაკო** (მაყურებელს) – აი, ხედავთ?! მაღლა ღმერთია მოწმე და დაბლა, პარტერში თქვენ, რომ ეს კაცი არანაირ დიალოგზე არ მოდის! ეს კაცი ჩვენთან შერიგებას გაურბის! რატომ?! რისთვის?! ნუთუ ამ სახანძრო იარაღის შეეშინდა?! მე ხომ ეს იარაღი სიმბოლურად მიჭირავს, როგორც მაგ ნაძირალას მიერ გაჩალებული ცეცხლის ჩამქრობს?!  
კარგით, ბატონო; ოღონდ ჩვენი თეატრი გამთლიანდეს და მაყურებელმა თავისუფლად ამოისუნთქოს, ამასაც აღარ დავიჭერ ხელში! (ბარჯი გიოს გაუწოდა და მიმართა) ჩამოკიდე თავის ადგილზე!
- ქ-ნი ციცო –** ნუ, რაზეა ლაპარაკი?! მე ჩამოვკიდებ!
- ქალბატონმა ციცომ ბატონ კაკოს ბარჯი ჩამოართვა, მაგრამ იქ გაჩენილ გიოს თავისი წილი სიმძიმე უკვე ხელში ეჭირა. მსახიობებმა ბარჯი კულისებში გაიტანეს. გარეთ, ფოიში, იმ კართან ახლოს, საიდანაც ვახტანგი გაიქცა, ავტომატი აკაკანდა. მსახიობები დაფრთხენენ. ვალიკო უცებ აღმოჩნდა სცენაზე. ხმაურით გაიღო პარტერის კარი, საიდანაც მეორე კაპელდინერი წივილით შემოვარდა.
- მეორე**
- კაპელდინერი –** ვაიმე, კვდება, კვდება!
- გიო –** მოკვდეს! სამართალმა პური უნდა ჭამოს!
- მეორე**
- კაპელდინერი –** შენ არ ჭამო პური შენს ცხოვრებაში, შე დე-

|  |   |
|--|---|
|  | გენერატო! რა დაგიშავა იმ ქალმა?!<br>ვინ ქალმა?! რა ქალმა?! ვინა კვდება, ქალო?!  |
| ქ-ნი ციცო –<br>მეორე   |   |
| კაპელლინერი –<br>ზალიკო –<br>მეორე   | მარო კვდება, მარო!<br>ვაა! ტყვია მოხვდა?!   |
| კაპელლინერი<br>ქ-ნი ციცო   | (ბატონ კაკოზე უთითებს) – ტყვიაზე მეტი არ<br>ჩაარტყა თავში მაგ გათახსირებულმა, მაგან?!   |
| გიო  | (ბატონ კაკოს წინ აეფარა) – როგორ უბედავ, შე<br>ქუჩის ქალო, ჰაა?   |
| მეორე  | (მეორე კაპელლინერს) – ეე, სოფელო! შენ იცი,<br>რომ ეს კაცი ჩვენი თეატრის მამა?!  |
| კაპელლინერი –<br>პირველი<br>მაყურებელი   | უი, აგრემც მამა ღვთისა გაგიწყრეთ შენცა<br>და მაგ შენს „კოლეგებსაც“, თქვე არდა-<br>საბადებლებო თქვენა! (მეორე კაპელლინერი პარ-<br>ტერიდან გარბის)                    |
| ვალიკო   | (ნელა წამოდგა და გიოს მიმართა) – შენა, ძმაო,<br>ეგრე უდიერად სოფელს რად მაიხსნიებ?!   |
| ზალიკო   | არ იციო, რო ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქ?!  |
| ზალიკო   | (პირველ მაყურებელს) – დაწყნარდით, ბატონო!   |
| ვალიკო –   | დაბრძანდით და დაწყნარდით! (პირველი მაყ-<br>ურებელი დაჯდა)   |
| ბ-ნი კაკო –  | (ფალიკოს) – კაცო, მაროს რო მართლა რამე<br>დაემართოს, მერე რა უნდა ვენათ?  |
| ზალიკო   | ბატონო კაკო, იმ კაპელლინერს, რომელსაც<br>თქვენ თავში ჩაარ... (ბატონმა კაკომ ვალიკოს შეხე-<br>და) იმ კაპელლინერმა, რომელმაც... თქვენ...<br>რომელთანაც... რომელმაც... |
| გიო, ვალიკო და ზალიკო სცენიდან პარტერში ჩასტინენ<br>და ფოიეში გაცვივდნენ. მეორე კარიდან რამდენიმე პრე- | (ბატონ კაკოს) – აი, ის კაპელლინერი რომ<br>მოკვდეს, მერე ვის დაბრალდება, ვის?!   |

- ჭენდენტი ყვირილით შემოიქრა.
- პრეტენდენტები** – თავი მოიკლა! თავი მოიკლა!
- ქეთინო – არა! არა!
- ქ-ნი ციცო – ვინ?! ვახტანგმა?!
- ერთ-ერთი**
- პრეტენდენტი** – ჰომ, რაა! იმ შენმა ვახტანგმა!
- ქ-ნი ციცო (ავანსცენაზე გამოვიდა და დონჯი შემოიყარა) – სად-აური „ჩემი ვახტანგი“ ის იყო, ბიჭო! შენ მე თვალში ხომ არ გეპატარავები?!
- ბ-ნი კაკო (ქალბატონ ციცოს) – კარგი, დაწყნარდი, გავიგე, გასაგებია. (პრეტენდენტებს) თქვენ თვითონ ნახეთ, რომ მკვდარი იყო?
- ერთ-ერთი**
- პრეტენდენტი** – ასპროცენტიანი ვიცით, ბატონო კაკო, რომ მართლა მკვდარია!
- ბოლო სიტყვების მთემელ პრეტენდენტს ბატონმა კაკომ ანიშნა, მასთან მისულიყო. პრეტენდენტი სცენას მიუახ-ლოვდა. ბატონი კაკო დაიხარა, პრეტენდენტს რაღაცა უჩურჩულა და ხელით იმ კარზე მიუთითა, საიდანაც ვახტანგი გაიქცა. პრეტენდენტი გატრიალდა, ერთ-ერთ შეიარაღებულს ანიშნა, გამომყევიო, და მასთან ერთად პარტერი სწრაფი ნაბიჯით დატოვა.
- ბ-ნი კაკო (პარტერს მიმართავს) – ქართველი კაცი ვაზის გასხლავს ხოლმე... მშრომელმა ადამიანმა იცის, რომ ვენახს ზედმეტი წანაზარდი თუ არ მოაცილა, ისე, ვაზი ვერ იხეირებს.
- დღეს ჩვენი თეატრი არჩევანის წინაშე იდგა და მე მიხარია, რომ მან ისეთი გზა აირჩია, რომელიც სიხარულს, სიყვარულს და პატი-ოსნებას მოუტანს!
- ქალბატონმა ციცომ ტაში დაუკრა, მაგრამ ერთი ადა-მიანის მიერ დაკრულმა ტაშმა უცნაურად გაიუღერა. ბა-ტონმა კაკომ და ქალბატონმა ციცომ ქეთინოს შეხედეს. ქეთინო თავდახრილი ზის.
- ბ-ნი კაკო – ქეთინო, თქვენი დუმილი როგორ გავიგოთ?

- როგორც თანხმობა, ხომ?
- ქეთინომ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია. ბატონმა კა-  
კომ გაიცინა და ქეთინ ავანსცენაზე გამოიყვანა.
- ბ-ნი კაკო –** როგორ? თქვენ თქვენი რეჟისორის არ გჯერ-  
ათ? თქვენ ჩემი არ გჯერათ?
- ქეთინ –** არ მჯერა.
- ბატონმა კაკომ ლალად გაიცინა და პარტერში, მარჯვენა  
მხარეს, სცენასთან ახლოს მყოფ მეორე პრეტენდენტს  
გახედა. გამოფხიზლებულმა მეორე პრეტენდენტმა ბა-  
ტონ კაკოს ხელის აწევით ანიშნა თავისი მზადყოფნა.
- ბ-ნი კაკო** (მაყურებელს) – განა შეიძლება რეჟისორს ამაზე  
დიდი ბედნიერება ეწვიოს?
- ამ ანგელოზურმა არსებამ, რომელიც თეატ-  
რის მომავალია და იცის, რომ ჩემს ხელშია  
მისი ბედი – რაღგან თუ როლებს მივცემ,  
მან შეიძლება გაიბრნებინოს, ხოლო თუ ისე  
მოვექცევი, რომ როლების მოლოდინში ვა-  
მყოფო, მაშინ შეიძლება რამდენიმე წლის  
მერე აღმოაჩინოს, რომ უკვე ყველაფერი  
გვიანდაა – და, აი, ამ ანგელოზურმა არსე-  
ბამ, მიუხედავად ამისა, მაინც გაბედა იმის  
თქმა, რომ მას არ სჯერა ჩემი.
- სად და ვის გაუბედავენ ამის თქმას?
- მხოლოდ აქ და – მე! იმიტომ, რომ სადაც  
მე ვარ, იქ ყველასა აქვს თავისი აზრისა თუ  
დამოკიდებულების უშიშრად და თავისუ-  
ფლად გამოთქმის საშუალება!
- აი, ეს არის ჭეშმარიტი თეატრალური  
ცხოვრება, რომელშიც უფრო მეტი თავისუ-  
ფლებაა, ვიდრე თავისუფლებაში შეიძლება  
იყოს თავისუფლება!
- მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ პირდაპირ არ  
უნდა გავიგოთ ის, რაც ქეთევანმა ბრძანა.  
აქ, უბრალოდ... პოეტის პერიფრაზით თუ  
ვიტყვით: – „ხომ დიდებულია ეს ჩვენი რე-

|              |  |
|--------------|--|
|              | უისორი, მაგრამ მე უფრო დიდებული მინდა“, – მაშინ გახდება საცნაური მამაშვილური ის დიდი სიყვარული, რაც ამ ადამიანმა თავის ტექსტში ქვეტექსტად ჩადო.  |
| ბ-ნი კაკო –  | გმადლობ, ჩემო ქეთინო! გმადლობ!   |
| ქეთინო –     | ქეთინომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბატონში კაკომ შეაწყვეტინა.  |
| ბ-ნი კაკო –  | არა, საყვარელო, ნუ შეწუხდები, აღარ არის საჭირო! შენ უკვე ყველაფერი სთქვი.  |
| ქეთინო –     | მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გაჩუმება გინდათ, მაინც გეტყვით: თქვენ უღალატეთ ოქვენს დანიშნულებას.   |
| ბ-ნი კაკო    | ბატონში კაკომ ქეთინოს შეხედა, ჩაიცინა, შარვლიდან მტვერი ჩამოიფერთხა და კიდევ ერთხელ გახედა პარტერში სცენასთან ახლოს მყოფ მეორე პრეტენდენტს, რომელმაც ხელის აწევით კვლავ ანიშნა თავისი მზადყოფნა.   |
| ბ-ნი კაკო    | პარტერის კარი გაილო. გიომ და ზალიკომ ერთმანეთთან გადაჯვარედინებული ხელებით შემოიყვანეს პირველი კაპელდინერი. ვალიკო გიოს და ზალიკოს ფეხდაფეხს მოსდევს, რათა პირველი კაპელდინერი უკან არ გადავარდეს. ისინი სცენაზე ავიდნენ და ბატონი კაკოს წინ დადგნენ.      |
| ბ-ნი კაკო    | (პირველ კაპელდინერს) – სახელითა ჭეშმარიტი ხელოვნებისათა და პირადად ჩემი ნიჭისა და გონების ძალითა და ნებით მოგიწოდებ შენ, ქართველო დედავ, გარდამოხვიდე სცენასა ზედა და განაცვიფრო მთელი ქვეყნიერება იმ დიდი ძვრებით, მხოლოდ ამ თეატრში რომ შეიძლება მოხდეს! |
| ბ-ნი კაკო    | ხელებჩამოშვებული, თვალებდახუჭული და თავჩაკიდებული პირველი კაპელდინერი არ იძვრის.   |
| მეოთხე       | (სცენაზე ფეხი დაჰკრა) – ვის ვეუბნები მე?!  |
| მაყურებელი – | ააფეერიიისტ!   |
| ბ-ნი კაკო    | (პარტერისკენ შემოტრიალდა) – ვინ გაბედა ამის  |

თქმა?!

დარბაზში მყოფმა იარაღმომარჯვებულმა პრეტენდენტებმა პარტერში სიარული და მაყურებელთა თვალიერება დაიწყეს.

**ბ-ნი კაკო –**

ვინ გაბედა-მეთქი ამის თქმა?!

აი, ეს არის, თეატრს რომ ღუპავს! რა ძალა უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ჩემს იმ-პროვიზაციას, თუ მაყურებლისგან უარყოფითი მუხტი, უარყოფითი ფლუიდი იგრნობა?! განა თეატრი არსებობს მაყურებელის გარეშე?! ხოლო თუ მაყურებელს არ სწამს თავისი შემოქმედისა, რა ჰქნას მხოლოდ შემოქმედმა?! (ვალიკოს, ზალიკოს და გიოს პირველ კაპელლინერზე მიუთითა) გაიყვანეთ! აღარ მინდა თამაში! ... თამაში რა იყო... აღარ მინდა ასე მუშაობა! ... და, საერთოდ, მე ვტოვებ ამ თეატრს! (გაბუტული გვერდით გადგა)

**ქ-ნი ციცო –**

**ბ-ნი კაკო**

ბატონო კაკო, არ დაგვაობლოთ!

(უცებ შემოტრიალდა) – ჩემი გადაფურთხებული არასოდეს ამილოკავს და არც ეხლა ავლოკავ! დამთავრდა! (კვლავ ზურგშექცევით დადგა, მაგრამ სწრაფადვე შემოტრიალდა)

როგორ შეიძლება შეურაცხყოფა მომაყენო მე, შემოქმედსა?!

სად გაიზარდნენ ეს ადამიანები?! სად?! განა ისინი იმ ქვეყნის შვილები არ არიან, რომელსაც ისეთი ინტელიგენცია ჰყავს, თუ საჭირო გახდა, ყველაფერს რომ აიღებს ხელში?! (კვლავ შეტრიალდა).

**ქ-ნი ციცო**

(მაყურებელს) – აი, ეს გინდოდათ, არა? ძლივს ველირსეთ მასშტაბურ რეჟისორს და ეხლა?! რა ეშველება ეხლა ჩვენს თეატრს?! ეხლა ხომ გრიმი რა არის, გრიმსაც კი აღარავინ გამოგვიგზავნის, როცა გაიგებენ, რომ ბატონ

კაკოს ჩვენ აღარ ვუნდივართ!

ქალბატონმა ციცომ ზიზღით შეხედა ქეთინოს, ბატონ კაკოსთან მივიდა და დაუჩოქა. გიომ, ვალიკომ და ზალიკომ პირველ კაპელლინერს ხელი გაუშვეს, ბატონ კაკოსთან მიცვივდნენ და დაუჩოქეს. ქეთინო ძირს დაგდებულ პირველ კაპელლინერთან მივიდა, დაიჩოქა და თავზე ხელი გადაუსვა; სახეზე ხელები აიფარა და ატირდა.

**ქ-ნი ციცო –**

ბატონი კაკო! ელიტარული ინტელიგენციისა თუ უბრალო ინტელიგენციის სახელით, ერისა თუ ბერის სახელით გთხოვთ, რომ გვაპატიოთ და დაბრუნდეთ ჩვენი თეატრის ხელმძღვანელად!

ბატონი კაკო გაუნძრევლად დგას. ქეთინოს ჭირილის ხმა ძლივს გასაგონად ისმის.

**ქ-ნი ციცო –**

ბატონი კაკო, გთხოვთ, გემუდარებით!

ბოლოს და ბოლოს, განა მაყურებელმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი თეატრის ბედი?! მაყურებელი დღეს ერთია და ხვალ მეორე მოვა, მაგრამ ის ფასეულობა, რასაც ინტელიგენცია ქმნის, ნება მომეცით, დავაკონკრეტო, რასაც შემოქმედებითი ინტელიგენცია ქმნის, ის ფასეულობა დროშია განელილი, ის ფასეულობა მარადმნვანეა, ის ფასეულობა წარუვალია! ... და განა თქვენ, ასეთი პალიტრის, უამრავი მიმდინარეობის, სტილისა და მსოფლმხედველობის ადამიანს, უფლება გაქვთ, თავი გაუყადროთ თითო-ოროლა გონებაშეზღუდულ სუნიანს?!

ბატონი კაკო ნელა შემოტრიალდა.

**ბ-ნი კაკო –**

თხემით ტერფამდე შემძრა თქვენმა სიტყვებმა. თქვენი გოდება მსოფლიო კულტურის გოდებაა; თქვენი ტკივილი მსოფლიო კულტურის ტკივილია; ... და, ბარაქალა თქვენ, ერის რჩეულო შვილებო, მუხლმოდრეკილნი, უანგაროდ რომ მოდიხართ ჩემთან და ერისა თუ

ბერის სახელით უკან დაბრუნებას მთხოვთ!  
ვიცი მე, თქვენ... ვის რა გჭირდებათ. ვიცი  
მე, რა სჭირდება ჩვენს ახალგაზრდობას.  
ვიცი მე, რა სჭირდება ჩვენს სასიქადულო  
მანდილოსნებს... როგორ არ ვიცი...

ეხლა – სტუდენტობაზე.

ვიცი მე, რა სჭირდება ჩვენს სტუდენტობას...  
ვიცი მე, რა სჭირდება მას...

ეხლა – ჯარზე.

ჯარს რა სჭირდება არ იცით?

რით ვერ გაიგეთ რა სჭირდება ჯარს?!

ვიცი მე... რა სჭირდება ჯარს... ვიცი მე...

ეხლა – მწერლობაზე.

ვიცი... ვიცი...

ეხლა – სპორტზე.

ეგეც ვიცი... ეგეც...

... და, რადგან მხოლოდ მე ვიცი ამდენი რამ,  
როგორ შემიძლია მშობლიური თეატრის მი-  
ტოვება? განა იმისთვის ჩამოვედი, რომ ეხლა  
მივატოვო? ... არც მივატოვებ! დიახ, არ მი-  
ვატოვებ!

დამაბრალონ, რაც უნდათ! დამწამონ, რაც  
უნდათ! მლანძლონ, მთათხონ და მაფურთხონ  
– მაინც ისე მოვხნავ და დავთესავ, როგორც  
აქამდე მიხნავს და მითესია! რამეთუ ვიცი,  
რამეთუ ღრმად მწამს, რომ ეს თეატრი დიდი  
ექსპერიმენტების თეატრია! ეს თეატრი იმ  
ახალი ადამიანის შესაქმნელი ლაბორატორი-  
აა, რომელიც ნებისმიერ უანრში იმუშავებს!  
თითოეულ თქვენთაგანს მე ისეთ მსახიობად  
ვაქცევ, რომ ნებისმიერი ქვეყნის რეუისორს  
შეეძლება თქვენთან მუშაობა!

მხოლოდ ერთი რამ ვერ გავიგე: – სადაურ  
უანრში ვიმუშაოთ. ჩამოყალიბებული რომ  
მქონდეს სადაურ უანრში სჯობია მუშაობა,

|             |   |
|-------------|---|
|             | მაშინ მხოლოდ იქაურ უანრში გაგწვრთნიდით. მაგრამ დღეს მსოფლიო თეატრალურ სამყაროში ისეთი სიტუაციაა, რომ ვერ გაიგებ, სადაურ უანრში უნდა იმუშაო კაცმა. ეს გლობალური პრობლემა! ეს თანამე-დროვე, გლობალური პრობლემაა!  |
| ყმაწვილი –  | პარტერში კვლავ გაიღო ხმაურით იგივე კარი, მაგრამ ამჯერად თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილი პისტოლეტმომარჯვებული შემოიჭრა.   |
| ბ-ნი კაკო – | სად არიან დედაჩემი და ჩემი და?!<br>ყმაწვილო, თეატრში – პისტოლეტით?  |
| ყმაწვილი    | (სცენაზე აიჭრა) – ვინ ახრჩობდა დედაჩემის?!<br>ვინ გითხრათ, ბატონო?!   |
| ბ-ნი კაკო – | ჩემმა დამ დარეკა სახლში!  |
| ყმაწვილი –  | აჱ, ის ქალბატონი და მისი გოგონა?! არა, ჩემო ბატონო. დედათქვენს კი არ ახრჩობდნენ, თვითონ იხრჩობდა. ჩვენ იგი გადავარჩინეთ და შეფობასაც შევპირდით.   |
| ბ-ნი კაკო – | კაცო, შენ რას მეარტისტები აქ?! რა შეფობა, რის შეფობა?!  |
| ყმაწვილი –  | მეორე პრეტენდენტმა პისტოლეტი ქეთინოს დაუმიზნა და ესროლა.  |
| ქეთინო –    | ვაიმე...<br>ქეთინო პირველ კაპელლინერს უსულოდ დაეცა. პარტერში მყოფმა მეორე პრეტენდენტმა, დავალების შესრულების შემდეგ წელში მოხრილმა და პისტოლეტმომარჯვებულმა, ჩაირშინა სცენის წინ და პარტერიდან გაიქცა. დაჩიქილი მსახიობები წამოდგნენ. ბატონმა კაკომ ქეთინოს მაჯისცემა გაუსინჯა და ყმაწვილს ამოხედა. იარაღმომარჯვებული პრეტენდენტები პარტერს მოედვნენ. ბატონი კაკო თვალს არ აცილებს პისტოლეტ-მომარჯვებულ ყმაწვილს, რომელიც მომხდარით გაოგნებულია და ვერ გაუგია, მას რატომ უყურებენ. ყმაწვილმა პისტოლეტი ძირს დადო. |
| ყმაწვილი –  | მე... მე... დედას გეფიცებით, მე არა... დედას  |

გეფიცებით...

ბ-ნი კაკო

(ცხვირსახოცი თვალებთან მოისვა) – მომიკლეს ის, ვინც ჩემი თვალის სინათლე იყო. მომიკლეს მუხანათურად, მომიკლეს ვერაგულად... და, იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩემი დამთმობი ხასიათითა და დემოკრატიულობით ბოროტად სარგებლობენ და საკუთარ თავს ყველაფრის ნებას აძლევენ. არ-კი უწყიან, რომ დემოკრატია უმკაცრეს დისციპლინას ნიშნავს.

(ბატონი კაკო ნელა წამოდგა)

არაფერია.. აწი მიყურონ!

ბატონი კაკო ყმაწვილისაკენ დაძრა. იარაღმომარჯვე-ბული პირველი პრეტენდენტი კიბით აღის სცენაზე, და-ნარჩენი პრეტენდენტები რიგ-რიგობით ხტებიან. ფარდის დახურვა იწყება. ბატონი კაკო და იარაღმომარჯვებული პრეტენდენტები ყმაწვილის გარშემო წრეს კრავენ.

მეხუთე

მაყურებელი

მეექვსე

მაყურებელი

მეხუთე

მაყურებელი

მეექვსე

მაყურებელი

(ქალბატონი) – არ გაბედოთ! არ გაბედოთ!

(ახალგაზრდა) – გახსენით ფარდა!

(ქალბატონი) – გახსენით ფარდა!

(ახალგაზრდა) – გახსენით ფარდა!

სცენაზე ასული მეხუთე და მეექვსე მაყურებლის ზურგს უკან ფარდა დაიხურა.

თბილისი 1996 წ.

# გელეასა და იასონის თავისუფლება

პიესა ერთ მოქმედებაზ

მოძრავი პირნი:

**ელი და კაცი**

ფარდის გახსნის შემდეგ ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე ქალი შემოიპარა, საწერ მაგიდასთან მიირბინა, რამდენიმე უჯრა სწრაფად დათვალიერა და ერთ-ერთიდან გასაღები ამოილო; კედელზე ჩამოკიდებული სხვადასხვა ეპო-ქისა და ქვეყნის იარაღით სავსე დაფა გამოსწია და კოლექციის უკან კედელში მოთავსებული სეიფის კარი როგორც იქნა გააღო. ოთახში კაცი შემოვიდა და სინათლე აანთო.

- კაცი** – მედეა? – (ქალმა სეიფში მოთავსებულ კონტეინერს ხელი დასტაცა, საწერ მაგიდასთან მიირბინა და გამოწეული უჯრიდან პისტოლეტი ამოილო) მედეა!..
- ქალი** – არ მომეკარო! არ მომეკარო, თორემ თავს მოვიკლავ!
- კაცი** – ჩათვალე, რომ მეც მომკლავ იმიტომ, რომ მეც მაშინვე თავს მოვიკლავ!
- ქალი** – აღარ მენალვლება რას გააკეთებ, რადგან მე ბოროტი იასონი არ მყვარებია! (ქალმა პისტოლეტი საფეოქლიან მიიღო)
- კაცი** – მედეა!
- ქალი** – მედეას ნუ მეძახი! შენთვის მედეა აღარა ვარ და შეგიძლია სხვა იპოვო!
- კაცი** – ჩემთვის მაინც მედეა ხარ!
- ქალი** – შენთვის მხოლოდ მეზღაპრე ვარ, თორემ ამ ყუთს გაანადგერებდი!
- კაცი** – ამ კონტეინერში მთელი ჩემი სიცოცხლის ძიებაა ჩადებული და მისი განადგურების უფლება არა გვაქვს!
- ქალი** – ამ ყუთში არაადამიანური ძალაა ჩადებული და ჩვენ მოვალენი ვართ, ის გავანადგუროთ!
- კაცი** – შენ ხომ არაადამიანური გხიბლავს!
- ქალი** – მე ზეადამიანური მხიბლავს!
- კაცი** – ამ კონტეინერშიც ზეადამიანურია!
- ქალი** – მაგრამ დამანგრეველი!
- კაცი** – მაგრამ კონტეინერში ჩამწყვდეული!
- ქალი** – რომელიც შეიძლება გახსნა!
- კაცი** – რისი უფლებაც მაქვს, რადგან ეს ჩემმა გონებამ შექმნა!
- ქალი** – რომელსაც გრძნობა ახლოს არ გაკარებია!
- კაცი** – მე ამას დიდი ნებისყოფით ვქმნიდი!

- ქალი** – რომელმაც შეიძლება გიმტყუნოს და ყუთი გახსნა! **კაცი** – მაგრამ გონება არ მიმტყუნებს!
- ქალი** – უკვე გიმტყუნა, როცა ეს შეგაქმნევინა! **კაცი** – გრძნობა უფრო მიმტყუნებს!
- ქალი** – მაგრამ წრფელი გული არა! არ მომეკარო! (პისტოლეტი კვლავ მიიღო საფეხულელთან)
- კაცი** – მედეა!! **ქალი** – მედეას ნუ მეძახი! შენ ჩემი არაფერი გნამს!
- კაცი** – მაგრამ ხომ მხიბლავს; ხომ მხიბლავს იასონისა და მედეას გარდასხეულება რომ ვართ; ისევ კაცად და ქალად მოსულნი!
- ქალი** – გასართობად გხიბლავს! საქმით – ამ ყუთის ავტორი ხარ!
- კაცი** – მხოლოდ ამ კონტეინერის ავტორი ვარ? **ქალი** – მხოლოდ მატერიალურის ავტორი ხარ!
- კაცი** – აკი ისიც სულის გამოხატულებაო?! (ამასობაში კაცი ქალს მიუახლოვდა და ხელში სწვდა. იპრევიან. სროლის ხმა გაისმა. კაცმა შეძლო პისტოლეტის ნართმევა და ყუთს ჩაბლაუჭებული ქალი ძირს დავარდა. სიჩუმეა. კაცმა სული მოითქვა, სავარძლამდე მილასლასლადა და ჩაჯდა. ქალის ძლივს გასაგრი ქვითინი ისმის)
- კაცი** – თუ რომელიმე სახელმწიფოს არსებობა უნდა, მან თავდაცვაზეც უნდა იზრუნოს. (სიჩუმე. ქალის ქვითინიც ალარ ისმის) მე ჩემი ეპოქის შვილი ვარ და ვალდებული ვარ ისე ვიცხოვო, როგორც ამ ეპოქის ადამიანს შეეფერება. (სიჩუმე)
- ქალი** – შეცდომა სწორედ ეგ ვალდებულებაა.
- კაცი** – როგორ შეიძლება ეს ვალდებულება შეცდომა იყოს?
- ქალი** – ეპოქა ადამიანმა უნდა შექმნას და არა ეპოქამ – ადამიანი. (სიჩუმე)
- კაცი** – მედეა, შენ სწორედ ახალი ეპოქა გიჭირავს ხელში.
- ქალი** – ამ ყუთის სახით?
- კაცი** – მაგ კონტეინერის სახით. (ქალი წყნარად მიუახლოვდა, ერთხან უცქირა და სავარძელში ჩაჯდა)
- ქალი** – ერთხელ, როცა შენ კოლხეთში ჩასული ბერძენი იყავი და ბუნებრივად გინოდებდნენ იასონს, მაშინ, არა ესა

თუ ის ეპოქა, არამედ მარადისობა გეჭირა ხელში. მაშინ მარადისობამდე შენ თვითონ მიხვედი და შენივე სიხარბით დაკარგე...

**კაცი –** მედეა, ერთი წუთით გაგაწყვეტინებ... (ამოიოხრა) დღევანდელი დღე ეტყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა ჩემს ცხოვრებაში და ამიტომ უნდა შეგეკითხო: რაც ახლა უნდა მომიყვე და რაც არაერთხელ გაქვს მოყოლილი, კვლავ, როგორც შენზე შეყვარებულმა ადამიანმა მოვისმინო თუ როგორც მეცნიერმა, რომლისთვისაც მითებს, რელიგიებსა და სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობებს მათთვის განკუთვნილი საპატიო ადგილი აქვთ, ხოლო რეალურ ცხოვრებას კი – სხვა?

**ქალი –** მე იმას მოგიყვები, რაც არასდროს მომიყოლია...

**კაცი –** (შეაწყვეტინა) შენ მოყოლილი გაქვს რომ ანტიკურ ეპოქაში ცხოვრობდი და გერქვა მედეა, რომ მე თითქოს-და ისაონი მერქვა და კოლხეთში ოქროს საწმისისთვის ჩავედი...

**ქალი –** (შეაწყვეტინა) რაც მე მოგიყვევი ბავშვობიდან უკვე უჩემოდაც იცოდი გარდა იმისა, რომ მითის პერსონაჟები ჩვენ ვიყავით და ამ საუკუნეშიც ბედმა დროებით კვლავ ერთმანეთს დაგვაკავშირა, მაგრამ რასაც ახლა გეტყვი, არასდროს მითქვამს.

**კაცი –** ....„დროებით დაგვაკავშირა“?

**ქალი –** რასაც ახლა გეტყვი ის რეალური ცხოვრებაა, რომელიც ოდესლაც ჩვენ გავიარეთ და...

**კაცი –** (შეაწყვეტინა) „ის რეალური“, რომელიც მხოლოდ შენს ხილვებშია?

**ქალი –** განა ათი წლის წინანდელ დოკუმენტურ კადრებსაც „ხილვით“ არ აღვიქვამთ?

**კაცი –** (გაელიმა) მედეა, ძვირფასო, ის ფირი, ან დიდი თუ პატარა დისკი, რომელზედაც ათი თუ ოცი წლის წინანდელი ფაქტებია აღბეჭდილი, რეალური, ხელშესახები ნივთია, რეალურ, ხელშესახებ აპარატში ჩადებული და შემდეგ აღქმული.

- ქალი –** მე შემიძლია გითხრა ის, რასაც ვხედავ.
- კაცი –** (გაელიმა) კარგი, გისმენ, ძვირფასო. (სიჩუმე) მე მაშინ შეგაწყვეტინე, როცა ამბობდი: კოლხეთში მარადისობა გეჭირა ხელში, რომელიც შენივე სიხარბით დაკარგეო. საინტერესოა... აქამდე მსგავსი, მართალაც, არ გითქვამს. გისმენ.
- ქალი –** (ჩაბლაუჭეპულ კონტეინერს დახედა) როგორც შენ, ასე ვთქვათ, პოპულარული ენით ამიხსენი, ამ ყუთის გახსნის შემდეგ აქ მოთავსებული ბაქტერიები რადიოტალღებივთ მოედება ჰაერს და, როგორც რადიომიმღები აფიქსირებს ხმას, ასევე დააფიქსირებს ჰაერში გავრცელებულ ამ ბაქტერიებს ყველა მოაზროვნე ადამიანის ტვინი, რაც მათი ორგანიზმის პარალიზებასა და სიკვდილს გამოიწვევს. უნდა ჩაგეკითხო: მხოლოდ მოაზროვნე ადამიანის ტვინი დააფიქსირებს?
- კაცი –** მხოლოდ მოაზროვნესი.
- ქალი –** კი მაგრამ, დედამინაზე, გარკვეულწილად, ყველა აზროვნებს, ველურებისა და პატარა ბავშვების გარდა.
- კაცი –** ჰოდა, სწორედ ისინი გადარჩებიან.
- ქალი –** ესე იგი, უსუსური არსებების გარდა დედამინაზე ყველა ამონწყდება. (სიჩუმე) ნუთუ ამას გთხოვს „ეპოქა“?
- კაცი –** (ლრმად ამოიხსრა) მედეა, ერთი წუთით წარმოიდგინე ასეთი მდგომარეობა: რომელიმე, თუნდაც უმნიშვნელო სახელმწიფომ, ისეთი იარაღი შექმნას, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს განადგურება შეძლოს მაშინ, როცა მოესურვება. ახლა წარმოიდგინე, რომ იმ სახელმწიფოს პრეტენზიები გაუჩინდეს ჩვენს მიმართ და ამა თუ იმ საბაბით, საომარი მოქმედებებიც წამოიწყოს იმ იარაღის იმედით, რომლის არსებობაზე არც ჩვენ და არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს არაფერი გვეცოდინება. წარმოიდგინე: ჩვენ, ომში ჩათრეულმა სახელმწიფომ, ისეთი გამანადგურებელი მარცხი განვიცადოთ, რომ მივხვდეთ – ჩვენი სახელმწიფოს არსებობა დასრულდა! აი მაშინ, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ეს „ყუთი“ და ყველასთან

გავასწოროთ ანგარიში, რის შემდეგაც მოაზროვნეთა-  
გან დაცლილ დედამინაზე ყველას ნაშიერი **თანაბარი**  
**დონიდან** დაიწყებს ახალი ეპოქის შექმნას! ასე, რომ  
მე შემიძლია თამამად გითხრა: მაგ კონტეინერის შიგ-  
თავსი, გარკვეული თვალსაზრისით, ჰუმანური იარა-  
ლია, ხოლო პირდაპირი მნიშვნელობით – ახალი ეპოქის  
დამამკიდრებელი! მე ისეთი რამ გაგანდე, რისი გან-  
დობის არანაირი უფლება არ მქონდა! გულწრფელად  
გეტყვა: მიყვარსარ, მაგრამ არა იმ სახელმწიფოზე მე-  
ტად, რომლის საკუთრებაც ეს პატარა კონტეინერი  
მინდა გახდეს. მე უფრო დიდი მოვალეობა მაკისრია,  
ვიდრე პირადი ურთიერთობებია! ნუ ისარგებლებ  
იმით, რომ გამიჭირდება დაუფიქრებლად მოგკლა! საკუთრისია ამ პისტოლეტის სასხლეტს გამოვკრა,  
რომ მილიონობით ჩვენი თანამემამულის პრობლემა  
გადაიჭრება! ნუ გამაკეთებინებ ამას და... ახლა უკვე  
დროა კონტეინერი მომცე!

- ქალი** – ამის გაკეთება მაინც მოგიწევს.
- კაცი** – მომეცი კონტეინერი.
- ქალი** – არა!
- კაცი** – (გაელიმა) ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი შრომის ნაყოფია  
და მე უფლება მაქს ისე მოვიქცე, როგორც მომე-  
სურვება.
- ქალი** – მაგრამ იმის უფლება არ გაქვს, რომ შენი შრომის ნაყ-  
ოფით ადამიანებზე შური იძიო!
- კაცი** – (კვლავ ელიმება) განა შენ არ გინდა, რომ ევრიპიდეზე  
შური იძიო? ხომ ამბობ: მედეად ყოფნისას შვილები  
არ დამიხოცავს და ევრიპიდემ ეს დამაბრალაო.
- ქალი** – მე არავინ მომიკლავს!
- კაცი** – ოო, მედეა, როგორც ჩვენი სახელმწიფოს გა-  
ნადგურების შემთხვევაში ჩვენ ვერ დავამტკიცებთ,  
რომ არ ვიყავით ამის ღირსი მაშინ, როცა გამარჯვე-  
ბულს საწინააღმდეგოს მტკიცების საშუალება ექნება,  
ასევე შენც ვერ დაამტკიცებ, რომ შვილები და ძმა არ  
მოგიკლავს!

- ქალი** – მე არავინ მომიკლავს!
- კაცი** – (იცინის) ხომ ხედავ რა აუტანელია, როცა იჩაგრები და პასუხსაც ვერ სცემ თავდამსხმელებს! წარმოიდგინე, ასე დაიჩაგროს მთელი ჩვენი სახელმწიფო! რატომ არ უნდა გვქონდეს ისეთი იარაღი, რომ თუნდაც ბოლომდე განადგურებულებმა მოწინააღმდეგე გავანადგუროთ?!
- ქალი** – ერთი თავდამსხმელი სახელმწიფოს გამო მთელი დედამიწა გავანადგუროთ?!?
- კაცი** – თუ დანარჩენი სახელმწიფოები ისე არ მოგვეშველებიან, რომ ჩვენზე თავდამსხმელი შეჩერდეს, მაშინ ყველაფრის ლირსი იქნებიან! თუ ჩვენ გაგვინირავენ დასაღუპად, თვითონაც განადგურდნენ!
- ქალი** – ეს ხომ საშინელება იქნება!
- კაცი** – ჩვენი განადგურება იდილია იქნება?!?
- ქალი** – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს გამიზნულად ქმნი თეორიულ ჩიხს, ოღონდ ამ იარაღის შექმნას გამართლება მოუძებნო!
- კაცი** – შენ გგონია, რომ მე არ მინდა მშვიდობა?
- ქალი** – მე მგონია, რომ ამ იარაღის შექმნაზე დახარჯულ ენერგიას სხვა სფეროსკენ თუ მიმართავდი, მილიარდობით ადამიანი გადარჩებოდა!
- კაცი** – რომელი „სფეროსკენაც“ არ უნდა მივმართოთ ჩვენი ენერგია, მაინც იმ ჭეშმარიტებასთან მივალთ, რომ ძალას მხოლოდ ათმაგი ძალა უნდა დავუპირისპიროთ, რათა მომხდეული შევაჩეროთ და დავამარცხოთ... ასეა, ძვირფასო. არ გაგიკვირდეს, ამაში რომ ვერ ერკვევი. თავდაცვაზე ზრუნვა, ქალწულებრივი ცნობიერების ადამიანთა საქმე არ არის!
- ქალი** – ეს რადიკალურად სხვა რამეა, ვიდრე – თავდაცვის იარაღი! (სიჩუმე) ყველაფერი შენი ბრალია და ამიტომ სიამოვნებით დავაპატიმრებინებ შენს თავს, კაცობრიობის წინაშე განეული „მეცნიერული ღვანლისთვის“!  
(კაცი ნელ-ნელა მიეყრდნო სავარძლის საზურგეს)
- კაცი** – ჩემს თავს დააპატიმრებინებ?

- ქალი** – დიახ, დავაპატიმრებინებ! (ისინი ერთმანეთს თვალებში უყურებენ. კაცმა სივრცეს გახედა)
- კაცი** – ალბათ, ადამიანი, მართლაც, რამდენჯერმე იბადება და ჩემ წინ, მართლაც, მედეას გარდასხეულება ზის.
- ქალი** – (ირონიით) ნეტავი რამ გაგინათა გონება?
- კაცი** – ღალატმა.
- ქალი** – მას შემდეგ რაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, მე მხოლოდ შენ გეკუთვნი. (კაცი ადგა, კედელზე ჩამოკიდებულ იარაღით სავსე დაფას წყნარად მიუახლოვდა, სეიფის კარი მიხურა, დაფა პირვანდელ მდგომარეობაში დაპრუნა და ზედ დამაგრებულ რამდენიმე იარაღს ხელი შეავლო)
- კაცი** – „მას შემდეგ რაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით“, უფრო სწორად, იმის მერე, რაც არგონავტებსა და „ჩვენს გარდასხეულებაზე“ დაინყე ლაპარაკი, კიდევ ერთხელ გადავიკითხე ყველაფერი, რაც არგონავტებზეა ცნობილი. გული რომ არ გტკენოდა, არ გეკითხებოდი, რა გხიბლავდა იმ ქალში, მაგრამ დღეს, როცა ვნახე, რომ არც ისეთი ნაზი ყოფილხარ როგორც ლოგინში, თავს უფლებას ვაძლევ, შეკითხვით მოგმართო: დამდე პატივი და მიპასუხე – რა გხიბლავს მედეაში... **მედეა?**
- ქალი** – რაოდენ დიდი პატივია კვლავ მედეას რომ მეძახი, მაგრამ ვფიქრობ, – უკვე უადგილოდ. ნულარ შეწუხდები. ამჟამინდელი სახელით მომმართე.
- კაცი** – რატომ? რატომ? ბარემ ბოლომდე ვითამაშოთ „ჩვენი ანტიკური როლები“. (ქალმა მცირე ხნით ჩაკიდა თავი, მაგრამ როცა ასწია, თვალები თითქოს ცრემლიანი ჰქონდა)
- ქალი** – როცა პირველად დაგინახე, მკერდიდან მთელ სხეულში რაღაც ჩამეღვარა. როცა პირველად ჩამხედე თვალებში და დამელაპარაკე, თავბრუ დამეხვა და მუხლები ამიკანკალდა...
- კაცი** – უკაცრავად, ეს „ადრინდელ განსხეულებაში“, თუ აქ, მეოცე საუკუნეში? (ქალმა გვერდით გაიხედა)
- ქალი** – იმდენად დიდი სიყვარულით მიყვარდი, მრცხვენოდა მეათედიც კი გამომეხატა. საწოლში ხომ სულ მთლად ვმუნჯდებოდი.

- კაცი** – აჲ, გასაგებია... ესე იგი აქ, მეოცე საუკუნეში.
- ქალი** – (მცირე სიჩუმის შემდეგ ამოისუნთქა) ჩვენი გაცნობიდან დიდი დრო არ იყო გასული, ოთახში უცხო ადამიანი რომ დავლანდე. შემეშინდა, მაგრამ ვერ გაგიმხილე; ვიფიქრე, გამივლის-მეთქი...
- კაცი** – (შეაწყეტინა) ვერ გავიგე, რეალური ადამიანი დაინახე თუ მოჩვენება?
- ქალი** – შენ ალპათ მოჩვენებას დაარქემევდი.
- კაცი** – გასაგებია. შემდეგ?
- ქალი** – როცა მეორედ და მესამედ სხვადასხვა ადამიანი ვნახე, მივხვდი, რომ ისინი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და მე არ მანუხებდნენ. დღეს უკვე ყველაფერი ვიცი მათ შესახებ; უფრო სწორად – ჩვენს შესახებ.
- კაცი** – „მათ შესახებ“ და „ჩვენს შესახებ“ – ესე იგი?..
- ქალი** – „მათ შესახებ“ – ვინც ოდესლაც ჩვენ ვიყავით. (სიჩუმე)
- კაცი** – მათთან კონტაქტში ხარ?
- ქალი** – ასე ვერ ვიტყოდი. უბრალოდ, როცა ჩვენი ადრინდელი ცხოვრების შესახებ რამე მაინტერესებს, შეკითხვას ვაგზავნი და...
- კაცი** – სად აგზავნი?
- ქალი** – სად? არ ვიცი, როგორ გითხრა...
- კაცი** – კარგი. მერე ვინ გპასუხობს?
- ქალი** – შეკითხვის პასუხად წინა ცხოვრებიდან რომელიმე ეპიზოდი იწყება და ვხედავ, რომ რაც შევეკითხე, ასე ან ისე მომხდარა.
- კაცი** – როგორ, „ასე ან ისე“?
- ქალი** – განვლილი ცხოვრების იმ ეპიზოდს ვხედავ, როცა ის მოხდა, რისი გაგებაც მაინტერესებდა. იმ ეპიზოდში ჩემს ადრინდელ საქციელსაც ისევე ვხედავ, როგორც სხვისას და ეპიზოდის დასასრულს პასუხი უკვე მიღებული მაქვს.
- კაცი** – რას ეკითხები ხოლმე?
- ქალი** – პირველად შენზე ვკითხე.
- კაცი** – რა ჰქითხე?
- ქალი** – მაინტერესებდა, წინა ცხოვრებაშიც გიცნობდი თუ

- არა და თუ გიცნობდი, ჩემთვის ვინ იყავი.
- კაცი** – შემდეგ?
- ქალი** – აღმოჩნდა, რომ ოთახში პირველად ვინც დავლანდე, შენ ყოფილხარ.
- კაცი** – ...და ვერ მიცანი?
- ქალი** – ვერა.
- კაცი** – (გაეცინა) რატომ?
- ქალი** – უწინ სხვანაირი სახე გქონია.
- კაცი** – ოოო! კარგად გამოვიყურებოდი?
- ქალი** – (თვალდახუჭულმა) ღვთაებრივად! (სიჩუმე. კაცი წყნარი ნაბი-ჯით დაპრუნდა სავარძელთან და კიდეზე ჩამოვადა)
- კაცი** – შენ გინდა სთქვა, რომ მე... ახლა... მე, ახლა, მინდა შეგეკითხო: ჩვენი შვილების მოკვლის საბაბი თურმე მართლა გქონდა? (ქალმა თვალებში შეხედა) ვერ გავიგე... რატომ მიყურებ? იმ... იასონმა სხვა ქალში გაგცვალა და... მე, როგორც მოლალატეს? მედეა, მართალია, ამ ცხოვრებაში მე და შენ ცოლ-ქმარი ჯერ არა ვართ, მაგრამ იმის მიხედვით, რომ მეც მხოლოდ შენ გეკუთ-ვნი, არ შეიძლებოდა ოდესმე შენთვის მეღალატა!
- ქალი** – შენ მე სხვა ქალში არ გამცვალე.
- კაცი** – არა?! აი, ხომ ხედავ?!
- ქალი** – შენ სული გაცვალე მატერიალურ კეთილდღეობაზე. (სიჩუმე)
- კაცი** – (თითქოს გამოფხიზლდაო) ერთი წუთით, ერთი წუთით! სულს რატომ გაცვლის ადამიანი მატერიალურ კეთილ-დღეობაზე, თუკი ეს კეთილდღეობა მას მაინც აქვს? მე იქ... უფრო სწორად იასონი... საბერძნეთის გმირი იყო და მატერიალური კეთილდღეობა მეტნაკლებად ექნებოდა! იქ ოქროს ვერძი გვქონდა... ტყავი – უფრო ზუსტად, თუ, რაღაც... ოქროსთან დაკავშირებული...
- ქალი** – არავითარი ვერძი, არავითარი ტყავი და არავითარი ოქრო არ ყოფილა!
- კაცი** – არა?!
- ქალი** – არა! (სიჩუმე)
- კაცი** – მედეა, დაფიქრდი, იქნებ არგონავტებიც არ ყოფილან?

- ქალი –** როცა ჰომეროსი ამბობს „ყველასათვის სანუკვარი საზღვაო ხომალდი არგო“ – ის რეალურ, ხელშესახებ ხომალდს გულისხმობს.
- კაცი –** (გამოცოცხლდა) თუ „რეალური ხომალდი“ და არგონავტები არსებობდნენ, ძვირფასი ტყავი რატომ არ შეიძლებოდა ჰქონდათ?
- ქალი –** ფიზიკურად ხელშესახებ ოქროსა და ტყავზე არ არის თურმე ლაპარაკი. თქვენ, ბერძნები, მაშინ ბერძნებად დაბადებულნი, კოლხეთში იმ დაკარგულის მოსაპოვებლად ჩასულხართ, რაც ყველამ, მთელმა კაცობრიობამ დაკარგა და არა მხოლოდ – ბერძნებმა. (სიჩუმე)
- კაცი –** კაცობრიობამ დაკარგა და კოლხეთში მხოლოდ მამაშენს ჰქონდა?
- ქალი –** შენი ცინიზმი იმის საშუალებას არ გაძლევს, რომ გაიგო, რისი თქმა მინდა.
- კაცი –** (გაეცინა. ორივე ხელით მოეფერა ქალის თავისუფალ ხელს) მე-დეა, მე ყველაფერი გავიგე... (კონტეინერი გამოართვა და ახლა ცალი ხელით მოეფერა ქალის გათავისუფლებულ ხელს) მე გავიგე, რომ ავად ხარ. (კაცი შეცბა) ეს სიტყვა უნებლიერ წამომცდა! მაპატიე!.. მაგრამ მე მჯერა, რომ შენი ავადმყოფობა ემოციური გადატვირთვით არის გამოწვეული! მაპატიე, რომ მაშინვე ვერ მოგხედე, როცა პირველად დაიწყე მედეაზე ლაპარაკი! ჩვენი გეგმები არ შეიცვლება და ჩვენ მაინც დავქორწინდებით... (ქალი უცებ შეკრთა, კონტეინერს შეხედა, ხელიდან გამოგლივა და სავარძლიდან წამოხტა. კაციც წამოვარდა)
- კაცი –** მედეა!
- ქალი –** არ მომეკარო!
- კაცი –** მედეა არ გამაბრაზო! ახლავე მოდი და ჩამაბარე კონტეინერი! ეს მამაშენის ნივთი არ არის, რომ მაშინ დასტაცო ხელი, როცა მოგინდება! ეს ჩემი კონტეინერია, ჩემი საკუთრებაა!
- ქალი –** შენმა საკუთრებამ ყველას სიცოცხლე ჩააგდო საფრთხეში!
- კაცი –** ყველას სიცოცხლე შენი და შენნაირების სადარდელი

- არ არის! მომიტანე კონტეინერი!
- ქალი** – არასოდეს! (კაცი ქალისკენ დაიძრა) არ მომეკარო, თორებ სარქველს გავხსნი!
- კაცი** – შენ რა, სულ მთლად გაგიუდი?! (კაცი კვლავ დაიძრა. ქალმა უკან დაიხია)
- ქალი** – გავხსენი თავსახური! (კაცი ადგილზე გაქვავდა. ქალმა რაღაც ნივთი გადაუგდო; ნივთი კაცის ფეხებთან დავარდა; კაცმა ჯერ ნივთს შეხედა, შემდეგ ქალს) ახლა უკვე ყოველი შენი ნაბიჯის გადმოდგმაზე თითო სარქველს გავხსნი! შენ დაგავიწყდა, რომ ამ ყუთის შესახებ ყველაფერი ვიცი! (კაცი მუხლებზე დაეცა)
- კაცი** – ოღონდ ეს არ ჩაიდინო, მედეა!..
- ქალი** – თუ არ მომეკარები, არაფერი მოხდება! შენ იცი, რომ ეს მხოლოდ თავსახურია და არა მთავარი სარქველი და ჯერ არაფერი მოხდება!
- კაცი** – ოო, მედეა! ღვთის გულისათვის!..
- ქალი** – რომელი ღვთის, შენ რომ არა გწამს?!
- კაცი** – როგორ არა მწამს! შენ ხომ იცი, რომ მე ეკლესიაშიც დავდივარ!
- ქალი** – და „მსოფლიო ანგარიშსწორებისთვისაც“ მზად ხარ!
- კაცი** – ეს ხომ თანამედროვე მეცნიერების ნაყოფია?!?
- ქალი** – ეს იმ შეცდომის ნაყოფია, რომელიც საბერძნეთში დაუშვი!
- კაცი** – რა შეცდომა დავუშვი, მედეა?! მე ხომ არ მითქვამს, შვილები დახოცა-მეთქა?! ეს ხომ ევრიპიდემ თქვა?! მაგრამ მე შემიძლია სამართლიანობის აღდგენა! მე გამოვიკვლევ და დავამტკიცებ, რომ მედეას არ დაუხოცავს შვილები!
- ქალი** – დაწყნარდი! საბერძნეთშიც ყველამ იცოდა, რომ მედე-ას არ დაუხოცავს შვილები, მაგრამ დრამატურგთა შეჯიბრში დამარცხებულმა ევრიპიდემ პიესის სიმძაფ-რისთვის გადააკეთა მითის სიუჟეტი!
- კაცი** – როცა ჩემი დონის მეცნიერი იტყვის, რომ მედეას არა-ვინ მოუკლავს, იმ სიტყვას სხვა ფასი ექნება!
- ქალი** – რაც არისტოტელემ თქვა, მითის სიუჟეტის თვით-

- ნებურ შეცვლაზე, სიცრუის გასაბათილებლად ისიც  
მეყოფა!
- კაცი** – მაშინ, მითხარი, საპერძნეთში რა დავაშავე და რით  
შემიძლია მისი გამოსწორება!
- ქალი** – შენ ის აღმოჩნდი, ვინც მარგალიტებს ტალახი ამჯო-  
ბინა.
- კაცი** – მაპატიე, რომ უხსოვარ დროში შევცოდე და სხვა ქა-  
ლში გაგცვალე! მაპატიე და დადე ეგ კონტეინერი! გე-  
მუდარები! ოო! მედეა! პისტოლეტი! სავარძელზე დევს  
პისტოლეტი! ის აიღე! ის გეჭიროს ჩემ წინააღმდეგ!  
თუ გნებავს მე მოგცემ პისტოლეტს! სავარძლამდე  
ისე მივალ, რომ ფეხზე არ ავდგები და იატაკზე გამო-  
გისრიალებ პისტოლეტს! ავიღო?! მოგაწოდო?! მიპა-  
სუხე! გემუდარები მიპასუხე! მეენდეეე! ამალებინე  
პისტოლეტი! ეს კონტეინერი ჩემი შექმნილია და ვიცი,  
რა საშინელებასაც წარმოადგენს! მერწმუნე, მე არ  
ჩავიდენ ისეთ საქციელს, რომ იძულებული გაგხადო,  
თუნდაც პირველი სარქველი გახსნა! მენდე, მედეა!!
- ქალი** – გენდობი.
- კაცი** – კარგი, ძვირფასო! აი, მიყურე, აი, ასე! (მუხლებზე მდ-  
გარმა კაცმა ორვე ხელი მალლა ასწია და სავარძლამდე დაჩიქილი  
მივიდა) – აი, მოვედი! აი, შეხედე, ძვირფასო! მხოლოდ  
ორი თითოთ ავიღებ პისტოლეტს! აი, ავიღე! აი, ასევე  
ვდებ იატაკზე! აი, დავდე! ხელიც ხომ გავუშვი! ახლა,  
მითხარი, შენსკენ როგორ გამოვაცურო?! ხელში ავი-  
ღო და ისე, თუ თითები ვკრა?! არ ავიღებ ხელში!  
მხოლოდ თითებს ვკრავ! (პისტოლეტი ქალის ფეხებთან ალ-  
მოჩნდა. ქალი კაცს უყურებს და ადგილიდან არ იძვრის) აიღე,  
ძვირფასო! აიღე! მაგ პისტოლეტით დამემუქრე! მაგ-  
ით შემაშინე! (სიჩუმე. დაჩიქილი კაცი და ფეხზე მდგარი ქალი  
ერთმანეთს უყურებენ)
- ქალი** – (გაკვირვებული) ...და მე ბედნიერ ქალად ვგრძნობდი  
თავს, რომ შენ გეკუთვნოდი?
- კაცი** – არაფერია, მედეა! არაფერია, ძვირფასო! მე ყველაფერს  
შევცვლი! მე ყველაფერს შევცვლი, ოღონდ ეგ კონ-

ტეინერი დადე! ოღონდ დადე! ოღონდ დადე! (ქალმა კონტეინერი საწერ მაგიდაზე დაფო) არა! მანდ არა! (ქალმა გაკვირვებული სახით მოხედა. დაჩოქილმა კაცმა ორივე ხელი გაშა-ალა) გამათავისუფლე ამ შიშისგან! მოაშორე ეს მართ-ლაცდა ყუთი და დადე თავის ადგილზე, თორემ მაგის დანახვა აღარ შემიძლია! (ქალი უცებ შეტრიალდა, კონტეინ-ერს ხელი დასტაცა, ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა იარაღის დაფას და გამოსწია, მიხურული სეიფის კარი გააღო, კონტეინერი შიგ მოათავ-სა, კარი მიაჯახუნა, გაპრაზებული შემოტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით დაპრუნდა სავარძელთან და დავდა)

**კაცი –** (მუხლებზე მდგარი ნელა ორნევა წინ და უკან) ოო, ღმერთო ჩემო; ოო, ღმერთო ჩემო; ეს რა საშინელი დლე გა-თენდა; და ნუთუ ეს ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ ეს ყველაფერი დამთავრდა? (კაცმა სავარძლისკენ გაიშვირა ხელი, მუხლებით ძლივს გადადგილდა, მიწვდა ცარიელ სავარ-ძელს, თავისკენ მისწია, ზედ აფოფხდა, იდაყვებით მუხლისთავებს დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო) გამაგებინე რა გინდა ჩემგან?

**ქალი –** პირველ რიგში – ყუთის განადგურება.

**კაცი –** ეგ გასაგებია, ეგ ვიცი; მაგრამ მე სხვას გეკითხები: მითხარი რა შევცოდე და რა შემიძლია გავაკეთო, რომ ჩემი შეცდომა გამოვასწორო, თუ მართლა მე ვარ ის ყოფილი იასონი და ყოფილი ბერძენი და საერთოდ!.. თუ ქვეყნიერება ისეა მოწყობილი, რომ რამდენჯერმე ვიბადებით, რატომ არ გვახსოვს ვინ ვიყავით, რათა იქიდან გავაგრძელოთ ჩვენი ცხოვრება, საიდანაც წინა გარდაცვალებისას შევწყვიტეთ და, რაც მთავარ-ია, სადღარა მაშინ ღმერთის მოცემული ჰარმონიულო-ბა და თავისუფლება, ჩვენივე ადრინდელი ცხოვრება თუ არ გვახსოვს?!

**ქალი –** (სრულიად დაწყნარებულმა) თუ რამ არ გვახსოვს, ჩვენივე ბრალია. ყოველი მომდევნო დაბადება განვითარების ახალი შანსია და იმის იმედი, რომ წარსული შეც-დომების გამოსწორებაც შეიძლება და ოდესლაც დაწ-ყებული ჰარმონიული გზის გაგრძელებაც. ღმერთის

მოცემული თავისუფლებით კი ნებისმიერი ახალი გზა შეგვიძლია ავირჩიოთ. აი შენ ახლა საშუალება გაქვს, რომ ნარსულისგან გათავისუფლდე და ახალი გზა აირჩიო.

- კაცი –** ანუ...
- ქალი –** ანუ ეს საშინელი ყუთი გაანადგურო...
- კაცი –** რატომ მიგაჩნია, რომ რასაც შენ მიკარნახებ, ის ჩემი თავისუფალი არჩევანი იქნება? ...და საერთოდ, ვინ მოგცა უფლება მეორე ადამიანს მიუთითო, როგორ იცხოვროს?
- ქალი –** თუკი ეს „მეორე ადამიანი“ ის არის, ვისი მეორე ნახევარიც ოდესაც მე ვიყავი?
- კაცი –** რატომ მხოლოდ ოდესაც? აჲ, იმიტომ, რომ ეხლა როგორც ირკვევა, უხსოვარ დროში თურმე სხვა ქალი მომსურვებია?
- ქალი –** არა. „სხვა ქალი“ მითიური გამოხატულებაა იმ მცდარი გზისა, რომელსაც შემდეგ დაადექი.
- კაცი –** რა გზას დავადექი?
- ქალი –** მხოლოდ მატერიალური სიკეთის მოპოვების გზას.
- კაცი –** მხოლოდ „სულიერი სიკეთე“ რომელი იყო?
- ქალი –** მხოლოდ სულიერი, მატერიალურის გარეშე, ადამიანებისთვის არ არსებობს. შენ კი, მხოლოდ მატერიალური სიკეთე აირჩიე და, მითის მიხედვითაც, ამიტომ გინდოდა კრეონტის შვილის შერთვა.
- კაცი –** კარგი, ეგ გავიგე, მაგრამ ის „მატერიალურ-სულიერი“ სიკეთე რომელი იყო?
- ქალი –** ის სუფთა სხეული, რომელიც კოლხურ მისტერიებში მიიღე.
- კაცი –** ნუ დაივიწყებ, რომ მეცნიერს ელაპარაკები და სულელურ სიტყვებს ნუ ისვრი! რას ჰქვია –„სხეული მიიღე“?! ოქროს საწმისის ძიება უმნიკვლო სულიერი სხეულის ძიებაა. მისი მოპოვება შესაძლებელი იყო დრაკონის, ანუ ადამიანური ქვენა გრძნობების მიძინებით. ყველაფერს მედეა ხელმძღვანელობდა, მაგრამ მედეა არ იყო მხოლოდ ქალის სახელი; მედეა ადამიანური

ცნობიერების ფარული სახელიც იყო. როცა შენ სრულად გაიარე კოლხური მისტერიები, ამით უკან დაიბრუნე დაკარგული უმწიკვლო სხეული, რომლის საშუალებით ისევე შეგეძლო მარადიულში ცხოვრება, როგორც ფიზიკური სხეულით – უამიერში. უჟამ და უამიერი შენთვის თანაბრად ხელმისაწვდომი ხდებოდა...

- კაცი** – (შეაწყვეტინა) და მამაშენი, მე, **უმწიკვლო** სხეულის მქონე სასიძოს შენს თავს არ მატანდა?! იმდენად გა-ჯიუტდა, რომ შენი ძმა დაგვადევნა და იძულებული გაგხადა დაგეჩეხა?!
- ქალი** – ცინიზმის უფლებას თავის თავს აძლევენ ან გენიოსები, ან ხელმოცარული ადამიანები.
- კაცი** – (გაიღიმა) როგორ ფიქრობ, მე რომელი ვარ?
- ქალი** – მეც მაინტერსებს. გენიოსი?
- კაცი** – (გაეცინა) ხედავ ძვირფასო, ეს მე არ მითქვავს, ეს შენ თქვი!
- ქალი** – (გაელიმა) ესე იგი, მე გენიოსის ცინიზმი მოვისმინე?
- კაცი** – არა! შენ ცუდად გამიგე!..
- ქალი** – იმედია, რასაც ახლა გეტყვი, შენ კარგად გამიგებ. რაც შეეხება მედეას მიერ ძმის დაჩეხავასა და დანაწილებას...
- კაცი** – (ეღიმება) აჲა! ესე იგი ძმაც არ მოგიკლავს?
- ქალი** – გიპასუხებ: – როცა შენს მარადიულს, საწმისს პოულობ, მაინც არა გაქვს სიმტკიცე და ამიტომ ცნობიერების ნაწილი – მითის მიხედვით მედეას ძმა – უნდა გაიღო მსხვერპლად, რადგან ამას გრძნობადი სამყარო მოითხოვს. ამ სამყაროს შეცნობა კი დანაწევრებულის შეგვიძლია.
- კაცი** – ერთი წუთით!.. ეს უკვე გენიალურია!
- ქალი** – რა არის გენიალური?
- კაცი** – ის რაც ახლა თქვი, რომ გრძნობადი სამყარო მოითხოვს იგი ნაწილ-ნაწილ შევიმეცნოთო! გამოდის, რომ მე და შენ სხვადასხვა გზით ერთი მიზნისკენ მივდივართ!

- ქალი –** ნეტავი როდის აქეთ?..
- კაცი –** მეცნიერებაც სხვას რას აკეთებს თუ არა იმას, რომ ამ მრავალფეროვან სამყაროს ნაწილ-ნაწილ იკვლევს!
- ქალი –** მაგრამ სულიერი კვლევის გარეშე...
- კაცი –** (შეაწყვეტინა) გაჩუმდი ახლა, სისულელე არ წამოგცდეს ამ... თურმე ბედნიერ დღეს!
- ქალი –** არ დაგავიწყდეს, რომ **მხოლოდ** ფიზიკური სამყარო-სადმი ყურადღების გამახვილებამ შენ ეგოისტად გაქ-ცია და ამ კონტეინერამდე მიგიყვანა!
- კაცი –** ამ კონტეინერის საჭიროებასა და აუცილებლობას მერე აგიხსნი; ეს არ არის მთავარი! ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ შენი სულიერი ჭვრეტა თვითკ-მაყოფილებისთვის კი არ გეძვირფასება, არამედ შემე-ცნებისთვის! ესე იგი მე მხოლოდ ხელოვნებათმცოდ-ნეზე კი არ უნდა ვიქეორნინო, არამედ იმ ადამიანზე, ვისთვისაც შემეცნებაა მნიშვნელოვანი! ეს ხომ ბედ-ნიერებაა?!
- ქალი –** ბედნიერება ის იქნებოდა, შენი შემეცნება მეცნიერუ-ლი ეგოიზმიდან რომ არ მოდიოდეს.
- კაცი –** სიცოცხლის უინსა და უნარს თუ ქალური ჭკუით ეგოიზმი ჰქვია, დაე ასე იყოს! მე ეგოისტი ვარ და არც ერთი ქვეყნის მცონარას არ მივცემ იმის საშუ-ალებას, რომ სიცოცხლისა და ამ სამყაროს შეცნობის ჩემებურ უინს, კეთილშობილურ უინს, ოდესმე რომე-ლიმე მათგანი დაემუქროს!
- ქალი –** და თან იმის უფლებასაც იტოვებ, რომ სხვას თვითონ დაემუქრო?
- კაცი –** ოო, ჩემო ძვირფასო! ძალიან გთხოვ შეურაცხყოფად არ მიიღო, რასაც ახლა გეტყვი, მაგრამ ძალიან მინდა, რომ გითხრა... არა! თქმა არა! მე მინდა გიყვირო, რომ **მიყვარხარ!** (ქალი სავარძლიდან წამოაფრინა, ხელში აიტაცა და ადგილზე დატრიალდა, შემდეგ ჩამოსვა და დაუჩინქა) მიუხედა-ვათ განსხვავებული გზებისა, ჩვენ ერთი მიზანი გვქო-ნია! მიყვარხარ იმიტომ, რომ გულით ფიქრობ და არა გონებით! მიყვარხარ იმიტომ, რომ შეგიძლია მტერი

- იმდენად გიყვარდეს, მოყვარეც ზედ გადააყოლო!
- ქალი** – ასეთი რომანტიული ფორმით გადაწყვიტე ჩემი გალან-  
ძლვა?
- კაცი** – მე გთხოვე, რომ შეურაცხყოფად არ მიგეღო!
- ქალი** – ვეცადე, მაგრამ როცა მტრის სიყვარულით მოყვარეს  
ზედ გადაყოლება ახსენე...
- კაცი** – ვიცრუე?! (იცინის) განა შენ არ იყავი, წუთის წინ მთელ  
კაცობრიობას სარქველის გახსნით რომ დაემუქრე?!
- ქალი** – (ჟღიმება) საიდან იცი, რომ სარქველს ნამდვილად გავხ-  
სნიდი?
- კაცი** – მოიცა, მოიცა! კონტეინერის სარქველს არ გახსნიდი?!
- ქალი** – არასოდეს!
- კაცი** – (ჟღიმება) ესე იგი წელან ამ სარქველის გამხსნელი გიუი  
ქალის როლი ითამაშე?
- ქალი** – (ჟღიმება) არაფერიც არ მითამაშია! მე ახლაც ისევე მე-  
შინია მაგ კონტეინერის, როგორც მაშინ, როცა პირვე-  
ლად მომიყევი!
- კაცი** – ოო, შე მართლა კუდიანო მედეა! შენ თურმე საკუ-  
თარი ბედი გადარდებდა!
- ქალი** – (ჟღიმება) რა სასაცილოა, არა? მედეას კუდიანსა და  
ჰადესის მომხმობს ეძახიან, შენნაირ კაცს კი პა-  
ტივსაცემ მეცნიერსა და მკვლევარს! შენ ჩემზე ამ-  
ბობა: – შეგიძლია მტერი იმდენად გიყვარდეს, მოყვარე  
გადააყოლო და, თვითონ კი ისეთი იარალი შექმნი,  
გამიზნულად მოსპობ მტერსაც და მოყვარესაც.
- კაცი** – (ჟერ მოღიმარი სახით უყურებს, შემდეგ იცინის) რადგან ასეა,  
მოგახსენებ, რომ მტერს მოვსპობ მხოლოდ და არა  
მოყვარეს.
- ქალი** – მხოლოდ მტერს? შენ სხვანაირად ამიხსენი.
- კაცი** – (ჟღიმება) საწერ მაგიდაზე რომ ჩაფხუტი დევს, ხედავ?
- ქალი** – ვხედავ.
- კაცი** – ეს ჩაფხუტი ჰერმეტულია. ამ ჩაფხუტის მქონე ადა-  
მიანის ტვინში ეს ბაქტერიები ვერ დაფიქსირდებიან.  
(სიჩუმე)
- ქალი** – განა რამდენი ხანი შეგიძლება მაგ ჩაფხუტით ადამია-

- ნის დაცვა?
- კაცი** – ვიდრე დედამიწის ბოლო და უსისხლო ომი არ დამ-  
თავრდება.
- ქალი** – ესე იგი?..
- კაცი** – მაქსიმუმ ექვსი საათი.
- ქალი** – დაუჯერებელია! დედამიწა არც ისე პატარა!..
- კაცი** – (იცინის) დაიჯერე! დედამიწა არც ისე დიდია!
- ქალი** – გადარჩენილებს რა გარანტია აქვთ, რომ ჩაფეუტის  
მოხსნის შემდეგ ბაქტერიები მათაც არ მოკლავენ?
- კაცი** – ამ ბაქტერიებიდან ექვს საათში არც ერთი აღარ იქნება.
- ქალი** – საიდან იცი?
- კაცი** – კონტეინერიდან როგორც კი ამუვუშვებთ, ეს  
ბაქტერიები რადიოტალღის სისწრაფით გადალეკავენ  
ადამიანებს და მაქსიმუმ ექვს საათში თავისი სიცოცხ-  
ლის ციკლსაც დაასრულებენ და გაქრებიან.
- ქალი** – გაქრებიან? (ქალი მოცილდა კაცს და ავანსცენისკენ წამოვიდა)  
მადლობა ღმერთს!
- კაცი** – (ქალის ზურგს უკან დარჩენილი კაცი იცინის) მაშინ მე ბრიყვი  
ვიქნებოდი, ისეთი იარაღი რომ შემექმნა, რომლისგა-  
ნაც ჩვენი სახელმწიფო თავს ვერ დაიცავდა. (ქალის  
დაძაბული მზერა სივრცეში, მაყურებლის თავს ზევით, თითქოს რა-  
ლაცას ეძებს)
- ქალი** – ასეთი ჩაფეუტი მხოლოდ იმდენი მილიონი დამზადდე-  
ბა, რამდენი ადამიანიც ჩვენს სახელმწიფოში ცხოვ-  
რობს?
- კაცი** – (თავი მოიქექა) არა მგონია, ალბათ, მხოლოდ იმდენი,  
რამდენიც – ახალი ცივილიზაციისთვის არის საჭირო.  
(მოლამარი სახით) ყოველ შემთხვევაში მე და შენ აუცილე-  
ბლათ გვექნება, ამის გარანტიას გაძლევ! დანარჩენს...  
ისინი თვითონ გადაწყვეტენ.
- ქალი** – (ქალმა ნაძალადევად გაილიმა და ისე შებრუნდა კაცისკენ) ვინ –  
ისინი?
- კაცი** – ვისაც ხვალ ამ იარაღს წარვუდგენ და ვინც მერე ბევრ  
ფულს გადამიხდის!
- ქალი** – (კეკლუცი ლიმილით) მე მგონი შენ ისედაც ძალიან ბევრი

- ფული გაქვს.
- კაცი** – ოოო! იქ ისეთი დიდი თანხა იქნება, ვერც კი წარმოიდგენ! (ნეტარ სახით) აი, შემდეგ კი ვიდრე ახალ პროექტს მოვიფიქრებ, ჩვენ, უკვე დაქორწინებულნი, საწოლში ვინებივრებთ და შენ ძველი საბერძნეთისა და კოლხეთის შენებურ ინტერპრეტაციებს მომიყვები!
- ქალი** – (მოღმარი, მაგრამ პატარა გოგოსავით გაბუტული ჩაჯდა სავარძელში) არ მოგიყვები!
- კაცი** – რატომ, ძვირფასო?
- ქალი** – იმიტომ, რომ აქამდე შენ თურმე მხოლოდ მაშინებდი და საშინელებებს მიყვებოდი!
- კაცი** – (იცინის) გეგონა, ჩვენც დავიხოცებოდით?
- ქალი** – რა თქმა უნდა!
- კაცი** – მაგრამ ბოლოს ხომ გაგახარე?!
- ქალი** – მაგრამ მანამდე რამდენი მაწვალე? პირველი ღამიდან დაწყებული ყოველთვის ასე მაწვალებდი!
- კაცი** – (გაოცებული) ვერ გავიგე? რომელი პირველი ღამიდან?
- ქალი** – კოლხეთიდან!
- კაცი** – კოლხეთიდან?!
- ქალი** – დიახ!
- კაცი** – ...და შენ მოტაცებული მედეას პირველ ღამეზე შეგიძლია ილაპარაკო?
- ქალი** – შენ მე არ მომიტაცე, შენ ჩემი ხელი ითხოვე და მამაწემმა ქორწილი გადაგვიხადა, რამდენიმე დღის შემდეგ კი თავისი გემებით გამოგვაცილა.
- კაცი** – ოოო! და პირველი ღამე?..
- ქალი** – (თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) აიეტის სასახლეში გავატარეთ.
- კაცი** – ...და იასონმა ქორწილის ღამეს მეფის ასული აწვალა?
- ქალი** – (კვლავ გაბუტული) დიახ!
- კაცი** – ოო, მომიყევი!
- ქალი** – (სავარძლიდან ნაზად წამოინია) სხვა დროს.
- კაცი** – (სავარძლის ნინ დაჩოქილმა ქალი ისევ ჩასვა) არავითარი „სხვა დროს“! შენ დღეს იმდენი განმაცდევინე, რომ მოვალე ხარ, შენი ხილვებით განმმუხტი!

- ქალი** – (კვლავ ნამოინია) სხვა დროს!
- კაცი** – (ისევ ჩასვა სავარძელში) დღეს!
- ქალი** – სხვა დროს!
- კაცი** – მხოლოდ დღეს!
- ქალი** – არა!
- კაცი** – კი!
- ქალი** – არა!
- კაცი** – კი! კი! მოვალე ხარ!..
- ქალი** – (ხელებითავზე წაიკლო) ღმერთო ჩემო! რა საოცარია!..ჩვენ  
ახლა იგივე სიტყვები ვთქვით, რაც პირველ დამეს!
- კაცი** – (გაოცებულმა) პირველ ლამეს ეს სიტყვები ვთქვით?!
- ქალი** – (თავს უქნევს) კოლხეთში!
- კაცი** – ოცდაათი საუკუნის წინ?!?
- ქალი** – ოცდაათი საუკუნის წინ! (სავარძელში მჯდომმა ქალმა შუბ-  
ლი თითის წვერებს მიაყრდნო. დაჩიქილი კაცი ჩაფიქრებულ ქალს  
მისჩერებია)
- კაცი** – მედეა... შენ ეს ინფორმაცია გადამოწმებული გაქვს?  
(ქალი არ განძრეულა, თითებს მხოლოდ ოდნავ გამოარიდა შუბლი  
და კაცს უკმაყოფილო სახით შეხედა)
- ქალი** – მრავალჯერ მაქვს ნანახი! (შუბლი კვლავ მიაყრდნო თითის  
წვერებს)
- კაცი** – (თითქოს გამოფხიზლდა) ერთი წუთით, ერთი წუთით! კი  
მაგრამ, ქორნინების პირველ ლამეს შენ რაზე უნდა  
გეთქვა უარი და მე რატომ უნდა დამეწყო ყვირილი,  
მოვალე ხარ, მოვალე ხარ-მეთქი?!
- ქალი** – ხმამაღლა არ ყვიროდი, კარს იქით იდექი და ჩურჩუ-  
ლით ყვიროდი – „მოვალე ხარ, მოვალე ხარ!“
- კაცი** – კი მაგრამ, კარს იქით რა მინდოდა?
- ქალი** – ჩემს ოთახში არ გიშვებდი.
- კაცი** – რატომ?!
- ქალი** – (დაიმორცხვა) ისე ძალიან მინდოდი, რომ მეშინოდა...
- კაცი** – მედეა, რისი გეშინოდა?
- ქალი** – ჩემივე დიდი სურვილისა და სიყვარულის.
- კაცი** – (სიჩუმის შემდეგ ამოისუნთქა და თავზე ხელი გადაისვა) რას არ  
გაიგებ ადამიანი! მერე?

- ქალი** – ბევრი მეხვენე – სირცხვილია, ხალხი გაიგებს და ორივე შევრცხვებით.
- კაცი** – მერე?
- ქალი** – მე გთხოვე: მაშინ შემომფიცე, რომ ამაღამ არ მომეკა-რები-მეთქი.
- კაცი** – მერე?
- ქალი** – შენ ჰეკატე და ჰელიოსი დაიფიცე, მაგრამ მე ზევსის დაფიცება გთხოვე. როცა შენ ზევსიც დაიფიცე, მე ჰერას დაფიცებაც გთხოვე და იმ წამს შენ ჰერაც დაიფიცე.
- კაცი** – მერე?
- ქალი** – მე შემოგიშვი.
- კაცი** – (კმაყოფილმა) შემომიშვი?! მერე?!!
- ქალი** – შემდეგ, ოთახში შემოხვედი და ისეთი რამ ჩაიდინე!..
- კაცი** – ოო, ღირსი კი არ იყავი?
- ქალი** – არა, ისეთის – არ ვიყავი!
- კაცი** – (უნდობლად) ვითომ როგორის?
- ქალი** – ვერაგულის!
- კაცი** – (კმაყოფილმა) ვერაგულის?
- ქალი** – და მოულოდნელის!
- კაცი** – კერძოდ?! (სიჩუმე)
- ქალი** – შენ ტანსაცმელი გაიხადე!
- კაცი** – (შეძრნუნებულმა) დასაძინებლად?!
- ქალი** – შენ სულ გაშიშვლდი!
- კაცი** – შიშველს მიყვარდა დაძინება?
- ქალი** – შიშველს გიყვარდა ვერაგობა!
- კაცი** – (გახარებულმა) ააა! ფიცი გავტეხე?!
- ქალი** – არა! არა! და სწორედ ეს იყო ვერაგობა!
- კაცი** – დავიბენი!
- ქალი** – მაშინ არ დაბნეულხარ, ვაუბატონო, ტიტლიკანა რომ მიმოდიოდი ჩემს ოთახში და რაღაც სისულელებზე ისეთი მიამიტი სახით მელაპარაკებოდი, თითქოს ზედ არ გემჩნეოდა, რომ ძალიან გინდოდი!
- კაცი** – (გახარებულმა) გასაგებია! მერე, მერე?!
- ქალი** – რა – „მერე“?!
- კაცი** – ფიცი როდისლა დავარღვიე?!

- ქალი** – სამწუხაროდ, არ დაარღვიე!  
**კაცი** – (დათრგუნულმა) რას ამბობ? რატომ? აბა, მაშ?..
- ქალი** – **დამარღვევინე!**! (წამის შემდეგ კაცს სიცილი აუტყდა. ადგა, სიცილითვე მივიდა შუა სცენამდე და უკან დაპრუნდა. ქალი ხელი სტაცა, მეორე სავარძელში ჩაჯდა და ქალი კალთაში ჩაისვა)
- კაცი** – აბა, ახლა მომიყევი – მერე რა მოხდა?
- ქალი** – ძალიან გთხოვ, სხვა თემაზე ვილაპარაკოთ, რა?
- კაცი** – (ლამა) ამაზე კარგ თემას მე და შენ ვერ შევეხებით იმიტომ, რომ ეს თემა პირდაპირ კავშირშია შემეცნებასთან! აბა, დაინე!
- ქალი** – ახლა ვერ მოგიყვები, რა!
- კაცი** – რას ამბობ?! ვითომ რატომ?!
- ქალი** – (ჟლიმება) მრცხვენია.
- კაცი** – რა სთქვი? (ჟცინება) ისეთი რა გააკეთე, რომ გრცხვენია?! (ქალს ელიმება. სახეზე ხელები მიიფარა და თავი გაიქნია)
- ქალი** – ვერ გეტყვი!
- კაცი** – (ჟლიმება) ოო! ძალიან კარგადაც მეტყვი! კაცს ზევსი და კიდევ რამდენი ლმერთი მქონდა დაფიცებული და, მიუხედავად ამისა, ნამუსი ამხადე, ახლა კი მეუბნები, ვერ მოგიყვებიო?! (ქალმა მსუბუქი მოძრაობით კაცის სახის მიმართულებით გაიქნია ხელის მტევანი)
- ქალი** – არც კი გრცხვენია!.. ნუ გაშიშვლდებოდი და არაფერი მოგივიდოდა. სხვათა შორის, მაშინაც ასე ჩამისვი კალთაში! „არაფერს არ გიზამ, სიყვარულზე მხოლოდ ვილაპარაკოთო!..“ და ამ დროს ისეთი სასიამოვნო სურნელი აგდიოდა...
- კაცი** – (ამაყად) ბერძნული პარფიუმერის?!
- ქალი** – არა! სიძლიერის! ისეთი სურნელი აგდიოდა, კინალამ გული წამივიდა და რომ არ გადმოვვარდნილიყავი, მკერდზე მოგეყრდენი.
- კაცი** – (იცინის) მერე?! რისი იმედით მომეყრდენი?! გეგონა, ფიცს დავარღვევდი, არა?!
- ქალი** – გაიხარე! არც დაგირღვევია!
- კაცი** – მერე, მერე? მითხარი ერთი, ჩემს მაგივრად შენ რო-

- გორ დაარღვიე ფიცი?!?
- ქალი** – (კვლავ ელიმება და სახეს ორივე ხელით იფარავს) ვერ გეტყვი!
- კაცი** – კარგი! „აღიარება“ რომ გაგიადვილო, ასე დავიწყოთ: რატომ გიჭირს თქმა? ის, რაც მაშინ ჩაიდინე, ჩვენ ხომ აქაც გვაქვს გაკეთებული?
- ქალი** – (სახეზე ხელებაფარებული იცინის) არა!
- კაცი** – არა?!
- ქალი** – არა!
- კაცი** – (კვლავ ელიმება) ოცდაათი საუკუნის წინ ასეთი სექსი შე-მომთავაზე?! (ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია) ოოო! ახლა უფრო დავიწყერესდი! აბა, მითხარი, რომელ პორნოფილმში გვაქვს ნანახი?
- ქალი** – არც ერთში!
- კაცი** – ისეთი სექსი მეოცე საუკუნის პორნოფილმებშიც არა აქვთ გადაღებული?
- ქალი** – არა!
- კაცი** – ეს რა... მხოლოდ კოლხეთში იცოდით?! (ქალი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) დაუჯერებელია! მისტერიებიო, ესაო, ისაო და... აქამდე არ ნანახი და არ გაგონილი სექსიც?! (სახეზე ხელებაფარებული ქალი თანხმობის ნიშნად თავს ისევ უქნევს. კაცი გაქვავებული უყურებს. უცებ წამოხტა, რამდენიმე ნაბიჯი სცენის სილრმისკენ გადადგა და უკან დაპრუნდა) მინდა! (გათავისუფლებული ქალი აქეთ-იქით მოსიარულე კაცს შიშით უყურებს) მინდა! კოლხური სექსი მინდა! მისტერიული სექსი მინდა! (კაცი შეშინებულ ქალს მივარდა; დაუკოცნა სახე, მკლავები, ხელის მტევნები და დაუჩინქა) ძვირფასო, მეოცე საუკუნე მთავრდება და სირცხვილი არ არის, კოლხური სექსი არ ვიცოდე?! აღადგინე კოლხური სექსი! აღადგინე კოლხური მისტერიები! (ფეხზე წამოხტა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო) უფლება არა გაქვს, კაცობრიობას ასეთი ბედნიერება არ აჩუქო! (ქალმა ხელის მოძრაობით შეაჩერა)
- ქალი** – რატომ იხდი? (შარვლის ცალი ტოტიდან ფეხსამოწეული კაცი ადგილზე გაქვავდა) მაშინ შენ ხომ ჩაცმული შემოხვედი? (წამის შემდეგ კაცი ყველაფერს მიხვდა)

- კაცი** – აააა! მართალია! გენიალურია! ყველაფერი ისე გავიმეოროთ, როგორც ოცდაათი საუკუნის წინ! (სწრაფად იცვამს და თავისთვის ლაპარაკობს) ოო, ღმერთო, მგონი მართლა დავიჯერებ, რომ ოდესლაც იასონი ვიყავი! (ქალს) მე რა მევალება, ძვირფასო?!
- ქალი** – (სახეზე ეფერება) ბევრი არაფერი... ჩაკეტილი კარის უკან უნდა დადგე და შემოშვება მთხოვო...
- კაცი** – (შეაწყვეტინა) კი! მახსოვს! ჯერ ჩურჩულით ვიყვირო, მერე გთხოვო და შენ რომ მეტყვი, შემომფიცე, არ მომეკარებიო – შემოგფიცო!
- ქალი** – როცა კარს გაგიღებ და შემოხვალ, ყველაფერს გაიხდი და ოთახის თვალიერებას დაიწყებ. შემდეგ ვითომ შემთხვევით მომიახლოვდები, ხელს მომკიდებ, სავარძელთან მომიყვან, დაჯდები და კალთაში ჩამისვამ. დანარჩენი – მე ვიცი. (კაცი კარისკენ გავარდა, მაგრამ მკაცრი გამომეტყველებით შემოტრიალდა, ქალი მიიხუტა და შეშინებულს სახეში ჩახედა)
- კაცი** – ძვირფასო, არაფერი დააკლო! აქაოდა, ჩემს გარდა არავინ იცის კოლხური სექსი და მაინც ვერავინ გაიგებს, რა დააკლდებაო!.. (თოთქმის დამარცვლით) ყველაფერი ზუსტად ისე გამიკეთე, როგორც მაშინ! გაიგე?!
- ქალი** – რა თქმა უნდა! (მარტოდ დარჩენილმა ქალმა ფეხსაცმელები სწრაფად გაიხადა, საწერ მაგიდასთან დაყარა და ჩატხუტი სავარძლებთან მდგარ ჰაჭარა მაგიდაზე გადმოიტანა. კარზე კაუნი გაისმა)
- ქალი** – (ნაზი ხმით) ვინ არის? (ქალმა სეიფთან მიირბინა, კონტეინერი გამოიღო და ჩაფუტის გვერდით დადო)
- კაცი** – ეს მე ვარ – იასონი!
- ქალი** – ოო, იასონ, ოო... (ჩაფუტის მილი აიღო და უთავსახურო კონტეინერში ჩაყო)
- კაცი** – გისმენ, მედეა!
- ქალი** – (ვნებამორეულმა) ოო, საყვარელო, გემუდარები...
- კაცი** – რა მოხდა, ძვირფასო?
- ქალი** – (ნაზი და ვნებამორეული ხმით) ოო, იასონ, ოო, ძალიან

გთხოვ... (კონტეინერიდან ჩაფხუტის მილი ამოილო და სახო-ნარკვეთილმა თავისთვის ჩაილაპარაკა) ღმერთო ჩემო, სხ-ვადასხვა ზომაა!

კაცი – მედეა!

ქალი – გისმენ, იასონ! (ქალი ბოლოს სცენს)

კაცი – ეს – მე გისმენ, მედეა, მე! შენ ხომ რაღაცის თქმა გინდოდა! თითქოს რაღაცას მთხოვდი!

ქალი – (თითქმის ჩურჩულით) არ ვიცი, როგორ გაგიბედო...

კაცი – უბრალოდ, ძვირფასო, უბრალოდ უნდა გამიბედო! ჩვენ ხომ უკვე ერთნი ვართ და ამიტომ ჩემი აღარ უნდა შეგრცხვეს! თუკი დღევანდელ დღემდე შენს ოცნებებში მარტო იყავი, ამიერიდან შენს გვერდით იქნება კაცი, რომელსაც შენი ყველაზე იღუმალი ოც-ნებაც შეგიძლია გაანდო! (ქალი უცეპ შეჩერდა; შემდეგ საწერ მაგიდასთან მიირბინა, რამდენიმე უჯრა სწრაფად დაათვალიერა, ერთ-ერთიდან წებოვანი ლენტი ამოილო და პატარა მაგიდასთან სირბილით დაბრუნდა)

ქალი – (კაცის გასაგონად) ოო, არა! არა! არა! (ქალმა ჩაფხუტის მილი ისევ ჩაყო უთავსახურო კონტეინერში და შიგნითვე დაიწყო წებოვანი ლენტის შემოხვევა.)

კაცი – როგორ არა! ამიერიდან შორს სირცხვილი! როცა ჩვენ, ორნი მარტო დავრჩებით ოთახში, შენ აღარაფრის არ უნდა შეგრცხვეს! არამარტო სულ უნდა გაშიშვლდე, არამედ, როცა ტანსაცმელს შემოიძარცვავ, ყოველ-გვარი სირცხვილიც ზედ უნდა მიაყოლო და შენი ყველაზე შორს გადამალული ოცნების შესახებ უნდა მომიყვე! იმის შესახებ, თუ როგორ და რანაირად გინ-დოდა, რომ კაცი ლოგინში მოგქცეოდა?! შემომიშვი! შემომიშვი და მომიყვევი, ძვირფასო! (ქალმა კონტეინერში ჩაყოფილი ჩაფხუტის მილი წებოვანი ლენტით ჩაამაგრა)

ქალი – (ნაზად) საყვარელო! მე ყველაფრისთვის მზადა ვარ, მაგრამ!.. (ჩაფხუტის თავზე დახურვა სცადა, მაგრამ კონტეინ-ერზე გადაბმულმა ჩაფხუტის უკანა მხრიდან გამომავალმა მოკლე მილმა, ამის საშუალება არ მისცა)

კაცი – მაგრამ რა?! მაგრამ რა, ძვირფასო?! თუკი

- ყველაფრისთვის ხარ მზად, მაში რაღა გიშლის?!
- ქალი –** ოო, მეშინია!
- კაცი –** რისი, ძვირფასო?!
- ქალი –** თვითონ არ ვიცი! (ქალმა ჩაფხუტი და კონტეინერი სავარძელ-ზე დადო, თვითონ სავარძლის წინ იატაკზე დაჯდა, ჩაფხუტი დაიხუ-რა და როცა დარწმუნდა, რომ ზურგს უკან, სავარძელზე დადებულ კონტეინერში თავისუფლად ჩაყოფდა ხელს, ჩაფხუტი კვლავ მოიხ-სნა)
- კაცი –** მაშინ მე გეტყვი, რისიც გეშინია! მე აგიხსნი! შენ, შენივე დიდი სურვილისა გეშინია! შენ ისე ძალიან გინდა ჩემთან შეერთება, რომ გრცხვენია, ვინმემ შენი სურვილი იხილოს! ოო, მედეა, ოო, მე კი სწორედ ამის ნახვა მწყურია! სწორედ ის მინდა ვნახო, შენი თავშე-კავება როგორ იხრაკება შენსავე ვნებაზე და შენი სირცხვილი როგორ ნებდება შენსავე სურვილს!
- ქალი –** (ვნებააშლილმა) ოო, კმარა! დადუმდი, საყვარელო, თო-რემ ალარ შემიძლია! (ქალი ადგა, საწერ მაგიდასთან მიირპინა და რაღაცა დაწერა; დაბრუნდა, პატარა მაგიდაზე ნაწერი დადო, ლენტი აიღო და კონტეინერი სავარძელზე დამაგრა; სავარძელი კართან მიაჩოჩა და მიადგა)
- კაცი –** არ დავდუმდები! არ დავდუმდები, ვიდრე შენს თავშე-კავებას არ დავამსხვრევ! ვიდრე იმ ჯოჯოხეთურ ბორკილს არ დაგიწყვიტავ, რასაც სირცხვილი ჰქვია და რაც სინამდვილეში ადამიანისთვის სიხარულისა და ბედნიერების აკრძალვაა! ამიტომ არ დავდუმდები! ახლავე გამიღე კარი, ძვირფასო! (ქალი სავარძლის წინ იატაკზე დაჯდა)
- ქალი –** (აგრესიული ვნებით) ოო, არა! დღეს არა! ამაღამ არა!
- კაცი –** შენ მოვალე ხარ, კარი გამიღო, გესმის? მოვალე ხარ!
- ქალი –** (მშვიდი, წყნარი ხმით; ბავშვივით) მაშინ შემომფიცე, რომ ამაღამ არაფერს მიზამ! (ვიდრე კაცი ფიცს ამბობდა, ქალმა ჩაფხუტი დაიხურა და შესაკრავებითაც შეიკრა; მარცხენა ხელი სა-ვარძლის სახელურის ქვეშ გაუყარა და წინა ფეხს ხელი მოჰკიდა; სა-ვარძლის მარცხენა წინა ფეხსა და ხელის მტევაზე წებოვანი ლენტი შემოიტარა, თავი სავარძლის მარცხენა სახელურისკენ გადახარა,

ნებოვანი ლენტი მარცხენა მხრიდან შემოიხვია კისერზე; სავარძლის სახელურის ქვეშ გაუყარა; ახლა ჩაფხუტზე შემოიტარა და სავარძლის სახელურზე კვლავ შეიმაგრა თავი; მარჯვენა ხელი ზურგ-სუკან, მარცხნივ, კონტეინერში ჩაყო; მცირე ხნის შემდეგ მოღუნდა და კონტეინერში ჩაყოფილი ხელი ჩამოუცურდა)

**კაცი -** ოო, შემოგფიცო?! სიამოვნებით! რა შემოგფიცო?! (სიჩუმე) რა შემოგფიცო, მედეა?! (სიჩუმე) ჰეკატეს შემოგფიცავ! ვფიცავ ჰეკატეს, შენს მფარველ ღმერთს, ამაღამ მე შენ არაფერს გიზამ! ვფიცავ ჰელიოსს, მამაშენის მამას, ამაღამ მე შენ არაფერს გიზამ! კმაყოფილი ხარ, ძვირფასო?! (სიჩუმე) მედეა! ძვირფასო! კიდევ რა დავიფიცო? (სიჩუმე) ვერ გავიგე! რამე მითხარი?! ვერ გავიგე! მედეა, ჩქარა, მედეა! კიდევ რა დავიფიცო? (სიჩუმე) ზევსი გინდა?! ზევსი, მედეა?! შენ ხომ გიყვარს ზევსი?! აი ეხლა მე ზევსსაც დავიფიცებ და გეტყვი: ვფიცავ ზევსს, რომ პირადად მე ამაღამ არაფერს გიზამ! (სიჩუმე) კიდევ რა დავიფიცო?! (სიჩუმის შემდეგ, ხმამაღალი ჩურჩულით) მედეა! იმ... მეოთხე ღმერთს რა ჰქვია?! დამავიწყდა! (სიჩუმის შემდეგ, კვლავ ჩურჩულით) მეოთხე ღმერთის სახელი გამახსენე, მედეა! მეოთხე ღმერთის! (მცირე ხნის შემდეგ კარს მიაწვა და მოლიმარმა შემოიხდა. როცა ქალი დაინახა, ადგილზე გაიყინა. დიდხანს გაუნძრევლად იდგა; შემდეგ შემოვიდა, კარი მიხურა და ცოტა ხანს იქვე გაჩერდა; შემდეგ კონტეინერში ჩაფხუტის მილს ჩახედა; ხელზე გაკეთებულ თავის საათს თითქოს უნებლივდ დახედა; ქალს ზემოდან დააცეკრდა; ორივე ხელი ჯერ გაშალა, შემდეგ გაშლილი ხელებით ის სივრცე, რომელიც ქალსა და კონტეინერს ეკავა, თითქოს სიგრძე-სიგანეში გაზომა) ღმერთოო ჩემოო! რა მცირე ადგილი დაიკავა მთელმა ჩემმა ცხოვრებამ! (ერთხანს ხელებგაშლილი იდგა, შემდეგ წაიხარა და ქალის სახეს შეხედა; თვალები დახუჭა; თავი მოარიდა; ნელ-ნელა აიმართა, მაგრამ მაინც ნელში მოხრილ-მა, პარტერისკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი; გაჩერდა; მხარმარჯვნივ სანახევროდ მიატრიალა სახე და ისე დაუყვირა გარდაცვლილ ქალს) რააა უუუუფლეეეებიიით?! რააა უუუუფლეეეებიიით?! შენ ხომ მე მეკუთვნოდი?! (ტირილამდე

მისულმა და ხმაში ბზარგაჩენილმა დაინუნუნა) შენ ხომ... ჩემი  
სული იყავი? (ნელა მოატრიალა სახე და პარტერისკენ კვლავ  
გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ დარბაზში მსხლომი ხალხი  
დაინახა და გაჩერდა; ნელში გაიმართა; მცირე ხანს მაყურებელი  
ათვალიერა; შემდეგ მხარმარჯვნივ კვლავ სანახევროდ მიატრიალა  
სახე და ქალს აგრძესულად მიმართა) მატყუარა! მატყუარა!  
მაშ ეს არის აღდგენილი კოლხური მისტერიები?! ეს  
არის?! ან იმის უფლება როგორ მიეცი შენს თავს, რომ  
ჩემი ნაშრომი შეისრუტე?! (როცა მოიხდა, ძირს დაგდებული  
პისტოლეტი დაინახა, აილო, სავარძლისკენ დაიძრა და მაყურებელს  
მიმართა) ვინ გამამტყუნებს და ვინ იტყვის, რომ ის  
იარაღი არ უნდა შემექმნა?! მე თუ არა – სხვა შექმნიდა!  
(როდესაც სავარძელში ჯდებოდა, ჰატარა მაგიდაზე ქალის  
დატოვებული ბარათი დაინახა, აილო, წაიკითხა, მაყურებელს ჯერ  
გაულიმა, შემდეგ გაუცინა და ბარათი მოცინარმა მოისროლა) კი,  
ბატონო! მეც გამოვიყენებ ღმერთის მოცემულ თა-  
ვისუფლებას! (პისტოლეტის ლულა პირში ჩაიდო; გაირინდა;  
შემდეგ უცებ გამოილო და მაყურებელს გაულიმა; იგივე მოძრაობა  
სწრაფად გაიმეორა. შემდეგ წამოხტა და ქალს მიუტრიალდა) მარ-  
თალი ხარ! ღმერთმა მეც მომცა თავისუფლება! (მხრებ-  
ში მოიხარა და ეშმაკური ლიმილით მოხედა მაყურებელს) ...და ამ  
თავისუფლებას მეც ისე გამოვიყენებ, როგორც მომე-  
სურვება. (კოპები შეიკრა და მთელი ტანით შემობრუნდა მაყურე-  
ბლისკენ; კვლავ გაილიმა; უცებ დაიძაბა და საფეოქელზე მიიღო  
პისტოლეტი; შემდეგ კაყაფილი სახით მოცილა; მოლიმარმა ახლა  
მაყურებელს დაუმიზნა და სწრაფად მოარიდა. მარცხენა ხელის  
ცერა და საჩვენებელი თითო გამართა და ისე დაუმიზნა მაყურებელს,  
მაგრამ ამჯერად გასროლის ხმასაც მიბაძა) ქსხხხ... (იგივე მოძ-  
რაობა სათითაოდ გაიმეორა შიშველი და პისტოლეტიანი ხელით და  
გასროლის ხმასაც ორჯერ მიბაძა) ქსხხხ... ქსხხხ... (გაეცინა) რა  
კარგია!.. ღმერთმა ყველას მოგვცა თავისუფლება!!  
(ფარდა იხურება; ახარხარებული კაცი ადგილზე ტრიალებს და კმაყ-  
ოფილი სახით, ორივე ხელით ისვრის გარშემო) ქსხხხ... ქსხხხ...

თბილისი 1999 წ.



ფოტო გურამ წიპახაშვილისა

ტირაჟი 200 ც.



პროფესიულ სცენაზე აკაკი ხიდაშელი 1974 წელს გამოვიდა „მეტეხის“ ახალგაზრდულ თეატრში.

1976 წლიდან 1993 წლამდე რუსთაველის თეატრის სცენაზე თამაშობდა. 1993 წლის დასაწყისში გაათავისუფლეს რუსთაველის თეატრიდან იმ მსახიობებთან ერთად, რომელიც არ იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დასამხობი იყო.

2004 წლის დეკემბრიდან დღემდე, ხელოვნების სფეროში დაბრუნებული აკაკი ხიდაშელი თამაშს აგრძელებს: მარჯანიშვილის, ახმეტელის, კინომსახიობთა, ვაკის სარდაფისა და საბავშვო თეატრებში; კინოში, ტელევიზიაში.

აქ დაბეჭდილი ორივე პიესა უთეატროდ ყოფნის პერიოდში აქვს დაწერილი.

ISBN 978-9941-0-5442-6

9 789941 054426